ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 28 ნოემბერი, 2017 №282 (7517) ფასი: 50 თეთრი

## უჩა ნანუაშვილის ანიოკება გადაიდო



გვ.5

## 28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილი

ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# ვინ შემოიყვანა საქართველოში ახმედ ჩატაევი



გვ.2

„შს მინისტრიც ამბობს, რომ საქმე გვაქვს საერთაშორისო ტერორიზმთან და ეს ასე იოლად არ დამთავრდება“



გვ.3

## კახა კუკავა: „საქართველო ჩეჩნებთან ურთიერთობას უნდა გაუფრთხილდეს!“

## შალვა შავგულიძე: „მინდა, იმედი მქონდეს, რომ ნინო ლომჯარია ხელისუფლებას არ გაუმართლებს“



გვ.4

# მიმართვა საქართველოს პარლამენტს

სახალხო დამცველად დიმიტრი ლორთქიფანიძე

გვ.3



„ამერიკელებს ურჩევნიათ, სააკაშვილი პოლონეთში იყოს და პოლიტიკას ჩამოსცილდეს“



გვ.5

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილს რუსული შავი ფული აქვს“

### სამართალი

გვ.7

„ლენდოს“ დაყაჩაღებაში ბრალდებული გიორგი კუკავა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს



ევა გოცირიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად არის წარდგენილი



ჩოხატაურში 17 წლის ბიჭს მანქანა დაეჯახა




### ეკონომიკა

გვ.6



აზერბაიჯანი იმპორტირებულ ავტომობილებზე განბაჟების ტარიფს ზრდის



„ლეოგრანდის“ მეპატრონე: „აღნიშნული სასტუმრო სტანდარტებს შეესაბამებოდა“



„ტურისტული ბიზნესი რომ განვითარდეს, სახელმწიფომ რთულ ადგილებზე ინფრასტრუქტურა უნდა გამართოს“

ISSN 1987-9385

4 როგორ აღმოჩნდა ამდენი იარაღი ტერორისტების ბინაში?

7 უმარ იდიგოვი: „ჩატაევს შევუთვალე, რომ საქართველოში ჩამოსვლისგან თავი შეეკავებინა“

6 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირება მკაცრდება

7 რობერტ ახალაიას, ანა ხელაძის მკვლელობის გარდა, ბრალად მისი გაუპატიურების მცდელობაც ედება

# ვინ შემოიყვანა საქართველოში ახმედ ჩატაევი

## „შს მინისტრიც ამბობს, რომ საქმე გვაქვს საერთაშორისო ტერორიზმთან და ეს ასე იოლად არ დამთავრდება"

შორენა მარსაგიშვილი

21-22 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციიდან ერთი კვირა გავიდა, მაგრამ თითქმის არაფერი გარკვეულა. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი კითხვა ჩნდება. ძალოვნები კატეგორიულად აღარ უარყოფენ იმას, რომ სპეცოპერაციისას ლიკვიდირებულთა შორის ერთ-ერთი პირი ახმედ ჩატაევია.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გამოძიებაში ამერიკის შეერთებული შტატებიც ჩაერთო, საქმე იმაზე რთულადაა, ვიდრე ჩვენ გვგონია.

აშშ-ის ელჩი იან კელი აცხადებს, რომ ანტიტერორისტული ოპერაციის გამოძიებაში ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ექსპერტები არიან ჩართული. ელჩი აღნიშნავს, რომ ქართულ მხარეს ტექნიკური დახმარება ამერიკამ შესთავაზა.

იან კელი განმარტავს, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ამერიკის პარტნიორია, მნიშვნელოვანია, ქვეყნებმა ერთმანეთს ინფორმაცია გაუზიარონ, ითანამშრომლონ.

საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს ახმედ ჩატაევთან დაკავშირებით ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი. მისი ინფორმაციით, ახმედ ჩატაევის მეუღლე აინა მარგოშვილი და მათი ვაჟი, რომელიც, სავარაუდოდ, 5 წლის არის, საქართველოში იმყოფებოდნენ და საქართველოს საზღვრის დატოვებას ცდილობდნენ, თუმცა მათ ეს ვერ მოახერხეს.

მთივლიშვილი ამბობს, რომ ეს არის მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომლის გადამოწმება მან ვერ მოახერხა. ამის შესახებ მთივლიშვილმა ,,ტვ პირველის" ეთერში განაცხადა.

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე კი კატეგორიულად გამორიცხავს ჩატაევის საქართველოში ყოფნას. მისი თქმით, ამ ადამიანს ცოლშვილი სირიაში ჰყავს და მათ არავითარ შემთხვევაში არ დატოვებდა.

20-საათიან ანტიტერორისტულ ოპერაციასთან დაკავშირებით რუსთავი 2 სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. ტელეკომპანიის ცნობით, სპეცოპერაციისას 2 ადამიანი გაიქცა.

სამართალდამცავები ტერორიზმში ეჭვმიტანილების გაქცევის ფაქტს არ ადასტურებენ. ამის პარალელურად, ვრცელდება მათი ფოტოები. „ქრონიკა +"-ის მთავარი რედაქტორი ელისო კილაძე ამბობს, რომ ეს ფოტოები სასაზღვრო საგუშაგოებსა და საპატრულო ეკიპაჟებს დაეგზავნათ.

მისივე ინფორმაციით, ის პირები, რომელთა წინააღმდეგაც სპეცოპერაცია ჩატარდა, საქართველოს ტერიტორიაზე ორი თვის წინ ლეგალურად, ქართული პასპორტებით შემოვიდნენ.

კილაძის ინფორმაციითვე, დაკავებულ პიროვნებას, ს.დ.-ს, 5 სხვადასხვა პასპორტი, მათ შორის საქართველოს პასპორტი აქვს.

ვინ და რა მიზნით შემოიყვანა ეს პირები საქართველოში, ვინ მისცა მათ გარანტიები, რას ითხოვდნენ სპეცოპერაციის მიმდინარეობისას ტერორიზმში ეჭვმიტანილები? – ამის შესახებ ელისო კილაძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ელისო კილაძე:**

– ჩემი ინფორმაციით, ის ჯგუფი, რომლის წინააღმდეგაც სპეცოპერაცია განხორციელდა საქართველოში ორი თვის წინ, სარფის საბაჟოდან ლეგალურად შემოვიდა. ლეგალურ შემოსვლაში ვგულისხმობ იმას, რომ ისინი აქ კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა შემოიყვანა. მათ ჰქონდათ ქართული პასპორტები და საზღვარზე მხოლოდ საპასპორტო შემოწმება გაიარეს.

ისინი თბილისში, ბერი გაბრიელის ქუჩაზე, კონსპირაციულ ბინაში დაბინავდნენ. მე არ მჯერა სახლის მეპატრონის, რომელიც ამბობს, რომ მან ბინა სხვა პირებს მიაქირავა.

***– ხომ შეიძლება, მას არ სცოდნოდა, ვის მიაქირავა სინამდვილეში ბინა?***

– ეს არის კონსპირაციული ბინა, რომელიც მაკლერების მეშვეობით არ ქირავდება და იქ



შემთხვევითი პირები ვერ მოხვდებოდნენ. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ბინაში იარაღის არსენალია შეტანილი. ამ იარაღით ტერორისტები 20 საათი წინააღმდეგობას უწევდნენ სპეცრაზმელებს.

რამდენადაც მე ვიცი, ეს ბინა არის დუპლექსი, რომელსაც აქვს სარდაფი. ძალიან მოსახერხებელია ასეთი კომბინაციებისთვის. ბინა გამჭოლია, ყველა მხარეს აქვს აივანი და ფანჯარა. იარაღის არსენალი სარდაფში ინახებოდა.

***– მათი შემოსვლის მიზანი რა იყო, ან რაში სჭირდებოდათ ამდენი იარაღი?***

– რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ეს ჯგუფი საქართველოში ტერორისტული აქტების მოსაწყობად არ შემოსულა. ისინი აქ გამოსაზამთრებლად შემოვიდნენ.

ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადებული რაქას დაცემის შემდეგ ისლამური სახელმწიფოს გადარჩენილი მებრძოლები სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტნენ. ახმედ ჩატაევისთვის ამ მხრივ ყველაზე კომფორტული ქვეყანა იყო საქართველო. მას 2010 წლიდან აქვს საქართველოში ცხოვრების გამოცდილება და ძალიან კარგად იცის ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის სპეციფიკა.

აქ სულ სხვა რამე მოხდა. სპეცოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება სპეცსამსახურების ერთმა ჯგუფმა მიიღო. ის დაიწყო იოსებ გოგაშვილმა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა. ამ სპეცოპერაციის საქმის კურსში არ იყო არც საერთაშორისო თანამეგობრობა და არც ანტიტერორისტული ცენტრი.

არადა, სწორედ ანტიტერორისტული ცენტრის მიერ მოხდა იმ პირის დაკავება, რომელსაც უკვე მიესაჯა პატიმრობა.

***– საუბარია ს.დ.-ზე, რომელიც სურხო დუდაევია?***

– ამ პირის ვინაობა გასაჯაროვდა, მაგრამ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ადამიანს კიდევ სხვა სახელი და გვარი არა აქვს. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მას 5 პასპორტი აქვს. მათგან ერთი ქართულია. სხვათა შორის, ის ქართულად მშვენივრად ლაპარაკობს და მას თარჯიმანიც არ სჭირდება.

მას შემდეგ, რაც ანტიტერორისტულმა პირმა აღნიშნული პირი დააკავა, ამერიკული მხარისთვის ცნობილი ხდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისში, ბერი გაბრიელის ქუჩაზე, იმყოფება შეიარაღებულ ტერორისტთა ჯგუფი, რომელთაგან ერთ-ერთი ახმედ ჩატაევია.

ოპერაციას იწყებს სუსის სპეცრაზმი, რომლის დროსაც იღუპება სპეცრაზმელი, სიტუაცია შედის ჩიხში – ბინაში მყოფები დანებებას არ აპირებენ. პირველი შტურმის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე იმ ბინიდან განხორციელდა ზარი – ისინი გარანტიებს ითხოვდნენ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გამოსაზამთრებლად შემოჰყავთ გარკვეული პირები. ასეთ პირებს უსაფრთხოების გარანტიებს ხელისუფლების წარმომადგენლები აძლევენ. ასე არის ახლა და ასე იყო ადრე.

***– რა სახის გარანტიებს იღებენ გამოსაზამთრებლად შემოსული პირები?***

– მათ აქვთ გარანტია, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში სპეცსამსახურებს უნდა დაუკავშირდნენ. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ისინი იმ სამსახურებს უკავშირდებიან, ვინც მათ გარანტიები მისცა.

მე მაქვს სერიოზული ინფორმაცია, რომ პირველი შტურმის დაწყებამდე იმ ბინიდან განხორციელდა ზარი. ისინი დაუკავშირდნენ მეკავშირეს, რომელიც მათსა და სპეცსამსახურებს შორის იყო შუამავალი. იმ დროისთვის ოპერაციის შეჩერება უკვე შეუძლებელია. ერთი სპეცრაზმელი დაღუპულია. ამასთან, ოპერაციაში ჩაერთო ანტიტერორისტული ცენტრის სპეცრაზმი. ორმხრივი სროლის დროს მოხდა იმ ჯგუფის წევრების ლიკვიდაცია.

ეს არ არის ჩვეულებრივი ამბავი. როდესაც ვილაცისთვის დერეფანი კეთდება, ამ დერეფანს ან ტრანზიტისთვის, ან გამოსაზამთრებლად იყენებენ. 2016 წლის სტამბოლის ტერაქტის შემდეგ ჩატაევისთვის დერეფნის მიცემა გამოუსწორებელი დანაშაულია.

21-22 ნოემბრის სპეცოპერაცია თავისი შედეგებით ძალიან მძიმეა. ამ შემთხვევაში იმაზე არ ვსაუბრობ, რომ 1 სპეცრაზმელი დაიღუპა, ხოლო 4 დაიჭრა. ეს სპეცოპერაცია განსაკუთრებით იმით არის მძიმე, რომ ჩეჩნებსა და ქართველებს შორის არსებული შეთანხმება დაირღვა – გარანტიამიღებული ჯგუფი აღმოჩნდა ლიკვიდირებული.

***– კურიერის ცნობით, სპეცოპერაციის დროს 2 პირი გაიქცა. მათთან დაკავშირებით თუ არის რაიმე ახალი ინფორმაცია?***

– მათთან დაკავშირებით რაიმე ახალი ინფორმაცია არ არის. არსებობს მათი ფოტოები. ფოტოები სასაზღვრო საგუშაგოებსა და პოლიციას დაეგზავნა. ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ როდესაც საუბარია ანტიტერორისტულ ოპერაციაზე, მედია არ არის მისი მტერი. პირადად მე ვცდილობ, ვიყო მოზომილი, რადგანაც საქმე ეხება ქვეყნის იმიჯს. ყველა ჩვენგანს პასუხისმგებლობა გვაქვს. ხელისუფლებამ ეს ფოტოები თავად უნდა გაავრცელოს და გაქცეულების ძებნა დაიწყოს.



დარწმუნებული ვარ, უნდა თუ არა ეს ვინმეს, ამ საქმის გამოძიება იქნება ობიექტური.

***– რატომ გგონიათ, რომ ეს საქმე ობიექტურად იქნება გამოძიებული?***

– იმიტომ, რომ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატებია ჩართული. აშშ აპირებს გამოძიებაში დახმარებას. რაც მთავარია, ელჩმა იან კელიმ თქვა, რომ მას აქვს კითხვები და ის, როგორც ჩვენ, პასუხებს ელოდება.

მისი პირველი განცხადებაც საინტერესო



იყო. იან კელიმ თქვა, რომ მოსახლეობამ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით უნდა მიიღოს ინფორმაცია.

ახლა, ერთი მხრივ, გამოძიების შედეგებს ველოდები, ხოლო მეორე მხრივ ძალიან მადარდებს არეული ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობები. ვფიქრობ, ხელისუფლებამ უნდა მოძებნოს ისეთი ავტორიტეტული პირი, რომელიც შექმნილ სიტუაციაში გაერკვევა.

2012 წელს ჩატარებული ლაფანყურის სპეცოპერაცია განიხილა უხუცესთა საბჭომ. მაშინ ჯიჰადი და შურისძიება იმიტომ არ იყო, რომ იმ საქმეში ქართული მხარე გამართლდა.

***– თუმცა იმ სპეცოპერაციის დროსაც დახოცეს ადამიანები.***

– მათი ლიკვიდაცია გამოუვალი სიტუაციიდან გამომდინარე მოხდა. ამ ჯგუფის წევრებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება. მათ რამდენჯერმე შესთავაზეს დერეფანი და რამდენიმე მიმართულებით გასვლა.

რუსეთის მიმართულებით მათი წასვლა გარდაუვალ ომს ნიშნავდა. საზღვარზე, რუსეთის მხრიდან, მობილიზებული იყო ჯარი და სპეცრაზმი. ლაფანყურის ჯგუფში იყო რამდენიმე აგენტი, რომლებიც მოლაპარაკებებზე კატეგორიულად არ მიდიოდნენ.

საბოლოო ჯამში, მოხდა ის, რაც მოხდა. მაშინ ქართველები გამართლდნენ. ახლა არა მგონია, ყველაფერი ასე დამთავრდეს. ქართულ სპეცსამსახურებს ძალიან გაუჭირდება თავისი სიმართლის დამტკიცება.

***– ეს სპეცოპერაცია შეიწირავს ვინმეს თანამდებობას?***

– ეს სპეცოპერაცია წარმატებული რომ არ იყო, შედეგებიდანაც ჩანს. ღმერთმა იცის, რომ ჩვენ არაფერი მოგვიგონია. სუსის მიერ გავრცელებულ ვიდეოში ნათლად ჩანს, რომ ოპერაციას ხელმძღვანელობს იოსებ გოგაშვილი. მანვე სპეცოპერაციის დამთავრებამდე 10 საათით ადრე მიიღო მილოცვები.

***– მას ფეისბუქზე ულოცავდნენ წარმატებული სპეცოპერაციის ჩატარებას.***

– ფეისბუქზე ძალიან აქტიურობდნენ მისი ე.წ. მეგობრები და აგენტები, წერდნენ, რომ სპეცოპერაცია ისე ჩატარდა, არავინ არ დაზარალებულა და ერთი პირი დააკავეს. მეორე დღეს მივიღეთ სულ სხვა შედეგი. მინიმუმ გოგაშვილის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

აუცილებლად უნდა დაისაჯონ ის პირები, რომლებმაც ქვეყანაში ჩამოიყვანეს ახმედ ჩატაევი. ეს კაცი მსოფლიოს შავ სიაში ჰყავს შეყვანილი და მის კისერზე უამრავი ადამიანის სისხლია.

ხელისუფლება ხელს ვეღარავის დააფარებს და მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. შს მინისტრიც ამბობს, რომ საქმე გვაქვს საერთაშორისო ტერორიზმთან და ეს ასე იოლად არ დამთავრდება.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჭუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „საქართველო ჩეჩნებთან ურთიერთობას უნდა გაუფრთხილდეს!“

ნონა ცაბაძე

არის თუ არა ტერორიზმის საფრთხე საქართველოში და რას ემსახურებოდა სპეცოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე? „ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს.

***– ბატონო კახა, გასულ კვირას სერიოზული ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ჩატარდა. ნელ-ნელა ადასტურებს ხელისუფლება ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ახმედ ჩატაევიც იყოს მოკლულთა შორის. უნდა ველოდოთ თუ არა მძიმე შედეგებს და ზოგადად როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– ჩვენ ამ ყველაფერს შეფასება გავუკეთეთ და დავდეთ სწორი ანალიზი. მაშინ არ ვიცოდით, ჩატაევზეც თუ იყო საუბარი, თუმცა ჩვენი ვერსიები დადასტურდა.

***– რა ვერსიები?***

– ეს ხალხი საქართველოში ტერორიზმისთვის არ შემოდის. ჩნდება ვერსია, რომ ეს ე.წ. ტერორისტები საქართველოში იმყოფებოდნენ არა ტერაქტის მოსაწყობად, არამედ ჩვენივე



სპეცსამსახურების ნებართვითა და ხელშეწყობით, ხოლო რაღაც ეტაპზე გადაწყდა მათი ლიკვიდაცია კვალის დაფარვის მიზნით ან სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების თხოვნით. სწორედ რომ ხელისუფლების ნებართვით შემოვიდნენ ლაფანყურის დროსაც და ახლაც, იმყოფებოდნენ თანამშრომლობის რეჟიმში და რაღაც ეტაპზე გადაწყდა მათი ლიკვიდაცია.

***– ეს ყველაფერი სახიფათო არ არის?***

– ეს არის ძალიან საშიში თამაში, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ყველაფერმა საქართველო, რომელიც არ არის ტერორისტების სამიზნე, შეიძლება გახადოს ტერორისტების სამიზნედ. ამაზე ადრეც იყო გარკვეული მინიშნებები.

***– რა სახის თანამშრომლობაზე შეიძლება იყოს საუბარი?***

– აქედან მიჰყავდათ ტერორისტები მოსამზადებლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, სადაც მუსლიმანური მოსახლეობა ცხოვრობს, ხდებოდა მებრძოლების ეტაპირება და მიჰყავდათ სირიაში საომრად. შემდეგ ხდებოდა მათი უკან შემოყვანა, ზოგჯერ დასასვენებლად, ზოგჯერ სამკურნალოდ, ოჯახების სანახავად და სხვადასხვა მიზნით.

***– რა მოხდა იმ დღეს? გაჟონა ინფორმაციამ, რომ ჩატაევი თბილისში იყო და იძულებული გახდნენ, მისი ლიკვიდაცია მოეხდინათ.***

– არა მგონია, რომ გაჟონა, კი არ გაჟონა, პირიქით, ხელისუფლებამ შემოიყვანა. უბრალოდ, რაღაც ეტაპზე გადაწყდა ჩატაევის, როგორც საშიში მოწმის, ლიკვიდაცია. მე უბრალოდ გეტყვით, რამ შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები.

***– რამ?***

– ტერორისტებს იყენებენ დიდი ქვეყნების სპეცსამსახურები ცალკეული ოპერაციებისთვის და მერე, როგორც წესი, იშორებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეიცვალა თურქეთის დამოკიდებულება სირიის პროცესების მიმართ. ის, ვინც ადრე იყო თურქეთის მოკავშირე, გახდა თურქეთის მტერი. თურქეთმა და რუსეთმა ააწყვეს ურთიერთობები. ყოველდღე იცვლება შეერთებული შტატების დამოკიდებულება რეგიონში სხვადასხვა დაჯგუფების მიმართ. ის, ვინც გუშინ სჭირდებოდათ, დღეს შეიძლება აღარ სჭირდებოდეთ. სირიის პროცესები მიდის დარეგულირებისაკენ. შეიძლება საუბარი იყო კომპრომატებზე.

***– რასთან დაკავშირებით?***

– ჩატაევი ძალიან ინფორმირებული ადამიანი იყო. ჯერ საერთოდაც მიმაჩნია, რომ ამ თამაშებში საქართველოს მონაწილეობა კატეგორიულად მიუღებელია, რადგან საქართველოში შეიძლება ტერორიზმის ტალღა შემოვიდეს. განსაკუთრებით ხაზი მინდა გავუსვა იმ თემას, რაც არის ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობები. ჩეჩნები მეომარი ერია, ძალიან დიდ არეალზე ვრცელდება მათი მოქმედება. რუსეთიც ტერორიზმში ჰყავთ, ახლო აღმოსავლეთიც და ამერიკაც. ამ საქართველოს მიმართ, იმის გამო, რომ დუდაევმა და გამსახურდიამ ჩაუყარეს ძმურ ურთიერთობებს საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ დღეს არცერთი არ არის ცოცხალი, ჩეჩნისთვის საქართველო არის უხერხული თემა, რომელსაც არ უნდა შეეხო, იმიტომ რომ ითვლება, ეს არის ძმა.

***– საქართველოს ხელისუფლებამ გააფუჭა ეს ურთიერთობები?***

– საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც უნდა იყოს ანალოგიური დამოკიდებულებები. სადაც ჩეჩენია, არ შეიძლება, იქ ქართველმა რაღაც ეგეთი ჩაიდინოს. არ გინდა მეგობრობა, ნუ ემეგობრები, არ გინდა დახმარება, ნუ დაეხმარები! მაგრამ რატომ ვახორციელებთ შეტევას და რატომ ვიწვევთ ჩეჩნებს?! ჩეჩნეთ-საქართველოს ურთიერთობები, უკიდურეს შემთხვევაში, თუ სხვანაირად არ გამოდის, უნდა იყოს ნეიტრალური. ამიტომ ჩეჩენი მებრძოლების საქართველოში შემოყვანა და მერე მათი განადგურება არის პირდაპირი პროვოკაცია!

***– რამდენად საშიშ თამაშში ჩაერთო ჩვენი ქვეყანა?***

– ეს ძალიან საშიში თამაშია. ტერორიზმისგან დაუცველები არიან საფრანგეთი, გერმანია და ბრიტანეთი. ეს ისეთი ტიპის საფრთხეა, სადაც თავის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ყველაზე კარგი თავის დაცვა არის ის, რომ საერთოდ არ შედიოდე ტერორისტების სამოქმედო და ინტერესების ზონაში და ასეც ვიყავით აქამდე.

***– შეიძლება შეიცვალოს ვითარება?***

– შეიძლება შეიცვალოს და ეს იქნება უმძიმესი. სპეცოპერაცია და „ლეოგრანდის“ ხანძარი მონაგონი იქნება! ამ ჩვენს ქვეყანას ყველანაირი ჭირი შეეყარა და ახლა ტერორიზმიღა აკლია.

***– შესაძლებელია, ტერორისტული აქტების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ?***

– ეს არ ვიცით. ჩვენ უნდა გავაკეთოთ კომენტარი იმაზე, რაც ვიცით და ვიცით ის, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი ტერორისტული აქტი, რომელიც სპეცსამსახურებმა აღკვეთეს. ამას ყველა ხვდება. ტერორიზმი არის ის, რასაც ვუყურებთ საფრანგეთში, გერმანიაში, რომელიღაც ორგანიზაცია გამოაცხადებს, მე ვარ ესა და ეს ორგანიზაცია, მაქვს ესა და ეს მოთხოვნა, მერე წავა, ვიღაცას ესვრის და ააფეთქებს.

***– ჩვენთან მსგავსი საფრთხე არ იყო მოსალოდნელი?***

– არაფერი მსგავსი აქ არ მომხდარა. აუცილებელია ჩატარდეს სრული გამოძიება. ლაფანყურის ოფიციალური ვერსიაც ხომ არ არის ცნობილი? ეს საქმე ბოლომდე უნდა გამოიძიონ.

# მიმართვა საქართველოს პარლამენტს

## აირჩიეთ სახალხო დამცველად დიმიტრი ლორთქიფანიძე



ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ვთავაზობთ საქართველოს პარლამენტს სახალხო დამცველის თანამდებობაზე დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურას. როგორც გახსოვთ, წინა არჩევნებზე ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურის მხარდასაჭერად მთელ საქართველოში შეგროვდა 74.000 ხელმოწერა, მათ შორის პატიმრებიდან და მათი ოჯახებიდან.

თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა მაშინ ყურად არ იღო მართლაც ხალხის მოთხოვნა და სახალხო დამცველად ბატონი უჩა ნანუაშვილი აირჩია, რომელსაც, თავის მხრივ, სულ ერთი მუჭა არასამთავრობოები ლობირებდნენ. სწორედ ის არასამთავრობოები, რომლებიც ღიად წარმოადგენენ უცხოურ აგენტურას, დაუფარავად არიან ჩამდგარნი კაცობრიობის მტრობაში და ხელს უწყობენ და მფარველობენ ყოველგვარ უზნეობას, გადაგვარებასა თუ ეკლესიისა და სიწმინდის სიძულვილს.

შედეგმაც არ დააყოვნა და საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული ბატონი უჩა ნანუაშვილი ამ 5 წლის განმავლობაში კრიჭაში ჩაუდგა ქართველ ერს და მთელი თავისი კოლექტივით მიზანმიმართულად ეწეოდა ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ და ანტიზნეობრივ საქმიანობას. თუნდაც ის ორი ფაქტი რად ღირს, როდესაც, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას სთხოვდა, დაეფინანსებინა სქესის შეცვლის ოპერაციები და, მეორე მხრივ, ინიციატივით გამოვიდა, აეკრძალათ ბავშვებისთვის ექსკურსიებზე ტაძრებში სანთლების დანთება.

ბატონო პარლამენტარებო, ფრიად სამწუხაროა, მაგრამ, ისეთი პირი უჩანს, რომ ამ არჩევნებზეც სწორედ იგივე სცენარი ვითარდება.

ბატონო კანონმდებლებო, გთავაზობთ რა სახალხო დამცველის თანამდებობაზე ღირსეული პიროვნების – ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურას, ამით კიდევ ერთხელ გაძლევთ შანსს, რომ გამოასწოროთ წინა მოწვევის პარლამენტის შეცდომა და საერთოდაც დაანახოთ საზოგადოებას, თუ რომელ მხარეს დგახართ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურით უნდა მოხდეს პარლამენტში ერთგვარი ლუსტრაცია და, ბოლოს და ბოლოს, გავიგოთ, ვინ დგას ჩვენს კანონმდებლებში ბილწი სოდომიტების, ღვთისმგმობელებისა და მათი დამქაშების გვერდით და ვინ ეროვნული, ტრადიციული და ზნეობრივი ღირებულებების მხარეს.

**საუკეთესო სურვილებით,**

**ხელის მომწერნი:**

**გურამ ფალავანდიშვილი**
(„ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარე)
**ლევან ვასაძე** (ბიზნესმენი)
**რეზო ამაშუკელი** (პოეტი)
**ელიზბარ ჯაველიძე** (აკადემიკოსი)
**ლაშა ნადარეიშვილი**
(პოეტი, გაზეთ „ასავალ დასავალის“ მთავარი რედაქტორი)
**ნიკოლოზ მჟავანაძე** (უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე)
**სოსო მანჯავიძე** (პოლიტიკოსი)
**ზვიად ტომარაძე** („დემოგრაფიული საზოგადოება XXI“ თავმჯდომარე)
**სანდრო ბრეგაძე** („ქართული მარში“)
**გია კორკოტაშვილი** (საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული მისია“)
**ლევან ჩაჩუა** (საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეის“ თავმჯდომარე. პოლიტპატიმარი)
**ლადო სადღობელაშვილი**
(არასამთავრობო ორგანიზაცია „ენა, მამული, საზოგადოება“)
**ზურაბ ენუქიძე** (მოძრაობა „ეროვნულები“)
**დავით ლორთქიფანიძე** (ახალგაზრდული ცენტრი „ზნეობა“)
**ვაჟა ბაკაშვილი** (პედაგოგთა ასოციაციის თავმჯდომარე)
**(ხელმოწერები გრძელდება)**

# შალვა შავგულიძე: „მინდა, იმედი მქონდეს, რომ ნინო ლომჯარია ხელისუფლებას არ გაუმართლებს“

ნათია ხურცილავა

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი **შალვა შავგულიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სახალხო დამცველის კანდიდატურაზე საუბრობს.

***– ბატონო შალვა, არასამთავრობო სექტორმა სახალხო დამცველის პოზიციაზე საპარლამენტო უმრავლესობას რამდენიმე კანდიდატი წარუდგინა. „ქართულმა ოცნებამ“ არჩევანი ნინო ლომჯარიაზე გააკეთა. თქვენი პოზიცია როგორია აღნიშნულ კანდიდატთან დაკავშირებით?***

– ზოგადად, სახალხო დამცველის ფუნქციები რაც არის ქვეყანაში, ცნობილია. სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების დაცვის სადარაჯოზე უნდა იდგეს. ადამიანის უფლებებს დაცვა, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების მხრიდან უნდა, რომ სწორედ სახელმწიფომ არ დაარღვიოს საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის საყოველთაო უფლებები და თავისუფლებები.

მოქმედი სახალხო დამცველი ამ ფუნქციას მეტად წარმატებულადართმევდა თავს. ის ნამდვილად იყო პრინციპული, თვალს არ ხუჭავდა დარღვევებზე და დასაბუთებულ კრიტიკას გამოხატავდა ძალიან მტკიცედ ადამიანის უფლების ყველა დარღვევის ფაქტზე, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა. ხელისუფლებას ეს არ მოეწონა და სწორედ ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უჩა ნანუაშვილი განმეორებით არ ყოფილიყო არც წარდგენილი და არც არჩეული.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ცვლილებები უჩა ნანუაშვილის გამო მოხდა?***

– დიახ, სწორედ ამიტომ მოხდა კანონმდებლობაში ცვლილება. ეს უკვე იყო ძალიან ცუდი განაცხადი. ეს არის ძალიან ცუდი მოცემულობა ხელისუფლების მიერ შექმნილი. ის ცდილობს, მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი სახალხო დამცველი არ ჰყავდეს. ამ შემთხვევაში ვიღებთ სურათს, როდესაც სახალხო დამცველი „ქართული ოცნების“ მიერ კონტროლირებადი გახდება, რაც სრულიად დაუშვებელია. მმართველ პარტიას აქვს სურვილი, რომ ცხადია, გააკონტროლოს ყველაფერი, ყველა ინსტიტუცია, როგორც მათ მიაღწიეს პროკურატურის, სასამართლო ხელისუფლების კონტროლს, ძალიან ცდილობენ მედიის კონტროლსაც.



***– როგორი სახალხო დამცველი იქნება ნინო ლომჯარია, თუ აირჩიეს, თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– ქალბატონი ნინოს კანდიდატურა მე მხოლოდ პოზიტიურად შემიძლია შევაფასო. მისი განვლილი საქმიანობა არასამთავრობო სექტორში ჩემთვის ეჭვს არ იწვევს, მეტიც, იძლევა იმის საფუძველს, რომ იმედი გვქონდეს. მის კვალიფიკაციასთან ალბათ კითხვის ნიშანი არ არის. მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. იმედი მინდა მქონდეს, რომ ის შეძლებს და გამოიჩენს პრინციპულობას ადამიანის უფლებების დაცვის სადარაჯოზე. ასეთი იმედი მინდა ვიქონიო, თუმცა მას მოუწევს საკმაოდ სერიოზული ბრძოლა იმისთვის, რომ შეასრულოს ის ფუნქცია, რომელიც სახალხო დამცველს ევალება, ვინაიდან აშკარაა ხელისუფლების სურვილი, მისგან გაკონტროლდეს ეს ინსტიტუტიც. თუ გაუძლებს ამ ზეწოლას ქალბატონი ნინო, ეს მის სასახელოდ იქნება, თუ ვერ გაუძლებს, მაშინ ძალიან ცუდი იქნება.

***– ხელისუფლებამ თქვა, მიუხედავად იმისა, რომ მას კანონმდებლობა არ ავალდებულებს, არასამთავრობო სექტორის მიერ წარდგენილი კანდიდატი აირჩიოს ომბუდსმენის პოსტზე, საუკეთესო გზით შეარჩია კანდიდატი. ეს არის ნაბიჯი დემოკრატიისკენ, რომ ხელისუფლება ანგარიშს უწევს საზოგადოებას?***

– მე ასე ვერ ვიტყოდი. არასამთავრობო სექტორს ერთი კანდიდატი არ ჰყოლია წარდგენილი. საუბარი იყო რამდენიმე კანდიდატურაზე, სხვა კანდიდატებიც მეტად ღირსეულები იყვნენ.

***– თქვენთვის საუკეთესო მაინც ვისი კანდიდატურა იყო?***

– არ მინდა ჩამოთვლა. ვიტყოდი, რომ ყველა მეტად ღირსეული კანდიდატი იყო, შეიძლება სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით უფრო მეტი გამოცდილების მქონენიც კი, მაგრამ ხელისუფლებამ არჩევანი ამ კანდიდატზე გააკეთა. ხელისუფლების განცხადება, რომ ეს არის საუკეთესო არჩევანი, მაშინებს. ვისთვის საუკეთესო, ქვეყნისთვის თუ ხელისუფლებისთვის?! რა თქმა უნდა, ხმამაღლა ამბობენ, რომ ეს არის ქვეყნისთვის საუკეთესო არჩევანი, მაგრამ თავისთავად განაცხადი, რომ ნახეთ, ჩვენ არასამთავრობო სექტორის მიერ შემოთავაზებულ კანდიდატურას დავთანხმდით, ეს რა არის, ვინმეს ხათრი გაუწიეს?! ასე საკითხის დაყენებაც კი არასწორია. ხელისუფლებას, რასაკვირველია, აქვს სურვილი, ეს ინსტიტუტი მოექცეს იმ ჩარჩოში, რომ სახალხო დამცველმა ზედმეტი კრიტიკისგან თავი შეიკავოს.

***– თუმცა შეუძლებელია, სახალხო დამცველს არ ჰქონდეს კრიტიკული პოზიცია, თუ ადამიანის უფლებები დაირღვევა.***

– გასაგებია, მაგრამ კრიტიკა გამოხატოს იმ დონეზე, რომ შეიქმნას სურათი – ჩვენ სახალხო დამცველის ინსტიტუტი გვაქვს ქვეყანაში, მაგრამ რეალობაში კი პრობლემები არ შეუქმნას ხელისუფლებას. ეს არის ხელისუფლების სურვილი. მე მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ქალბატონი ნინო ამ იმედებს არ გაუმართლებს ხელისუფლებას და, როგორც ბატონი უჩა იყო პრინციპული, ისეთივე პრინციპული იქნება.

***– უჩა ნანუაშვილმა თქვა, რომ სახალხო დამცველი ხელისუფლებისთვის კომფორტული არ უნდა იყოს. როგორი სახალხო დამცველი იყო თავად ნანუაშვილი?***

– უჩა ნანუაშვილი ნამდვილად პრინციპულად იდგა ადამიანის უფლებების სადარაჯოზე. ის არ ტოვებდა თეთრ ადგილებს ამ თვალსაზრისით, არავითარ კონიუნქტურას არ უწევდა ანგარიშს. ის ასრულებდა თავის მოვალეობას კვალიფიციურად და პრინციპულად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. რასაკვირველია, სახალხო დამცველი ხელისუფლებისთვის არ უნდა იყოს კომფორტული. თუ ასე იქნება, მაშინ ის ვერ იქნება სახალხო დამცველი, რადგან ის აკონტროლებს ადამიანის უფლებებს, ის იცავს ადამიანის უფლებებს სახელმწიფოსგან, ხელისუფლებისგან. ეს არის მისი ფუნქცია და მოვალეობა.

***– ბატონო შალვა, საუკეთესო, გამორჩეული სახალხო დამცველი თქვენთვის ვინ იყო?***

– მე ალბათ უჩა ნანუაშვილს დავასახელებდი.

***– მეორე რესპონდენტი ბრძანდებით, რომელმაც ამ კითხვაზე სწორედ ეს პასუხი გამცა.***

– უჩა ნანუაშვილი ნამდვილად არ იყო კომფორტული ხელისუფლებისთვის და ეს არაკომფორტულობა არ ნიშნავდა ან არაკვალიფიციურობას, ან არათანმიმდევრულობას. ის კვალიფიციურად, თანმიმდევრულად და პრინციპულად აფიქსირებდა ყველა დარღვევას ადამიანის უფლებების მიმართულებით. სწორედ ეს არის სახალხო დამცველის ინსტიტუტის ფუნქცია და ის ამ ფუნქციას კარგად ასრულებდა.

# როგორ აღმოჩნდა ამდენი იარაღი ტერორისტების ბინაში?

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „არ არის გამორიცხული, რომ მათ ვინმე მფარველობდა“

გულიკო ბალაძე

– საქართველოში ბოლო სამი წლის განმავლობაში 80 ათას უცხოელს მისცეს ბინადრობის უფლება. ქვეყნის პრეზიდენტმა 32 ათას ადამიანს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანებს საქართველოს მოქალაქეობა 90% შემთხვევაში საგამონაკლისო წესით მიენიჭათ. პრეზიდენტი მარგველაშვილი გარანტიას მოგვცემს, რომ ბინადრობა და მოქალაქეობამიცემულ პირებს შორის კიდევ არ არიან ტერორისტები? – ამ კითხვებს სვამს პარლამენტის ყოფილი წევრი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** „ახალ თაობასთან“ საუბარში და აცხადებს, რომ ქვეყანაში თავს დაცულად ვერ გრძნობს.

ის ამბობს, რომ სპეცსამსახურებში დაშვებულია ძალიან უხეში შეცდომა.

მისი აზრით, ტერორისტთა ჯგუფის თავისუფალი მოქმედება და შემდეგ შექმნილი ვითარება ან სპეცსამსახურების მხრიდან დაუდევრობის შედეგია, ან ხელისუფლების გარკვეული წრეების მხრიდან იმ პირების მფარველობის.

– უნდა გავმიჯნოთ სპეცოპერაციის დამგეგმავი, ოპერატიულ-სამძებრო და ოპერაციის განმახორციელებელი სამსახური. ერთია ის გმირი სპეცრაზმელი, რომელმაც თავი დადო ჩვენი უსაფრთხოებისა და ქვეყნის გულისთვის, მეორეა სპეციალურ და ანალიტიკურ სამსახურებში მომუშავე ადამიანები, რომლებსაც ევალებოდათ კონტროლი, მეთვალყურეობა და პრევენცია ობიექტისა და პერიმეტრისა, სადაც იმყოფებოდნენ საეჭვო პირები.

მათ უნდა გაერკვიათ, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რატომ ცხოვრობდნენ ქალაქის ცენტრში, ჰქონდათ თუ არა საქართველოში ბინადრობის უფლება. რატომ გახდა საჭირო სპეცოპერაციის ჩატარება იმ მისამართზე, სადაც ის ადამიანები ცხოვრობდნენ, როცა ორი კვირის განმავლობაში აკვირდებოდნენ მათ გადაადგილებას, ანუ მათ გამოვლენაზე მუშაობდნენ სპეციალური სამსახურები, აგენტური ქსელი. ხომ შეიძლებოდა, ისინი გარეთ დაეპატიმრებინათ, – აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

***– ის პიროვნება, რომელიც ახლა დაპატიმრებული ჰყავთ, სწორედ გარეთ დააპატიმრეს. როგორც ჩანს, ისინი ერთმანეთთან მუდმივ კავშირზე იყვნენ და გარეთ მისი დაკავების შემდეგ დაიწყო პრობლემები შიგნით მყოფ ადამიანებთან დაკავშირებით.***

– ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, ვინ იყვნენ ისინი, ჰქონდათ თუ არა საქართველოში ბინადრობის უფლება და ა.შ. ბინაში მყოფმა პირებმა გამოცვალეს ბინაში შესასვლელი კარი, რომელიც იყო ძალიან მძიმე და ამწის მოყვანა დასჭირდათ, ფანჯრებზე დაამაგრეს გისოსები. ეს ისეთი გარემოებაა, რომ შეიძლებოდა, კითხვის ნიშნები გაჩენილიყო.

***– ამწე სადარბაზოში კარს როგორ შეიტანდა?***

– ლოჯიიდან შეიტანეს.

***– როცა თქვენ ამბობთ, რომ ისინი იქ ცხოვრობდნენ, დადიოდნენ მაღაზიაში და ა.შ. იარაღს ხომ ეზიდებოდნენ, რომელიც ჩვენი სპეცრაზმელების წინააღმდეგ გამოიყენეს?***

– ეგ ერთ-ერთი მთავარი საკითხია, როგორ აღმოჩნდა იმდენი იარაღი იმ ბინაში. ოთხმა ადამიანმა 20 საათის განმავლობაში შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მთელ არმიას. გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიარაღებას ეზიდებოდნენ იქ. მათ ჰქონდათ ავტომატური იარაღიც და ასაფეთქებელი ნივთიერებებიც. ორი ადამიანის განეიტრალებას დასჭირდათ 20 საათი.

მოიკითხეთ, სპეცოპერაციის ზონაში მცხოვრები ადამიანები როგორ მდგომარეობაში იყვნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ არავითარი დაცვის გარანტიები მათ არ ჰქონდათ სპეცოპერაციის ჩატარების დღეებში, როდესაც ორი სართული განადგურდა. მაშინ, როდესაც ის ადამიანები მათ მეზობლად ცხოვრობდნენ, იქ მცხოვრებლები ამ ადამიანებს იცნობდნენ. ამ დროს აღმოჩნდა, რომ საშიშროების ქვეშ იყვნენ. 20 საათის განმავლობაში სახლში ჩაკეტილი ხარ, პატარა ბავშვები სახლში გყავს, არ იცი, რა ხდება.

***– თქვენ სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან გაქვთ პრეტენზია?***

– მე პრეტენზია კი არ მაქვს, კითხვებს ვსვამ. სპეცსამსახურებში დაშვებულია ძალიან უხეში შეცდომა. რატომ მისცეს ამ ადამიანებს საშუალება, იქ მიეზიდათ იარაღი, როდესაც მათ შემდეგ ჯავშნიანი კარის მიტანა დასჭირდათ და ამწის საშუალებით აიტანეს. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია. საკითხავია, რა იგეგმებოდა მათი მხრიდან.

***– დახოცილების ვინაობასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია ხომ არ გაქვთ? ამბობენ, ჩეჩნები იყვნენ, მათ შორის ერთ-ერთი ჩატაევი იყოო.***

– ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია სახელმწიფო სამსახურებმა უნდა მოგვაწოდონ. ახმედ ჩატაევთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვა არსებობს საერთაშორისო სპეცსამსახურების მხრიდან. ეს ადამიანი იყო საერთაშორისო დონის ტერორისტი. ბუნებრივია, ასეთი ადამიანის დაფიქსირება საქართველოში მას შემდეგ, რაც მან ოფიციალურად დატოვა საქართველოს ტერიტორია, კითხვებს აჩენს. როგორ შემოვიდა ის საქართველოში? რა სტატუსით იმყოფებოდა საქართველოში, თუკი იმყოფებოდა?



***– ბოლო პერიოდში ორი ფაქტი იყო სარფის საზღვარზე – ჩანთებით, თუ არ ვცდები, 14-15 წლის ახალგაზრდები ერთ შემთხვევაში შემოჰყავდათ, მეორე შემთხვევაში გაჰყავდათ. საინტერესოა, მსგავსი ფორმით ხომ არ შემოიყვანეს ჩატაევი? სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იყო, ჩატაევის შემოსვლა შეუმჩნეველი დარჩენილიყო.***

– მარჩიელობას სჯობია, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს მოვუსმინოთ, როგორ შემოვიდა საქართველოში ჩატაევი. თუ ეს ფაქტი დადასტურდება, ძალიან ბევრი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

***– თქვენ პირადად თავს უსაფრთხოდ გრძნობთ?***

– დღეს დაცვის არანაირი გარანტია არ არის.

***– ახლანდელმა სპეცოპერაციამ გაგიჩინათ ეს განცდა?***

– რა თქმა უნდა. სპეცოპერაცია, ზოგადი ვითარებისა და ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ლაკმუსია. კავკასია ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების მოძრაობისთვის ტრანზიტული რეგიონია, თანაც 2012 წლის ლაფანყურის სპეცოპერაციის შედეგების გამოძიების პასუხები არ გვაქვს. ახლაც ახალი სპეცოპერაცია ჩატარდა, რომელთან დაკავშირებით პასუხები არ გვაქვს და ჰგავს ერთმანეთს.

***– რა გარემოებებით, მაგალითად?***

– სპეცოპერაცია ჩატარდა, დაიღუპა ჩვენი სპეცრაზმელი. ისევ და ისევ კავკასიაა ეპიცენტრში, საუბარია ისევ ჩეჩნებზე.

***– ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ, ამბობდნენ, რომ მან შეკრიბა ის ჩეჩენი მებრძოლები, ავარჯიშა და შემდეგ ჩახოცა. მაშინ ხელისუფლების მონაწილეობას იმ ჯგუფის შექმნაში არ გამორიცხავდნენ. ახლა ბერი გაბრიელის ქუჩაზე არსებულ ტერორისტულ ჯგუფთან ხელისუფლების კავშირი გამორიცხული მგონია.***

– არ ვიცი, თქვენ ხელისუფლების კავშირში რას გულისხმობთ, მაგრამ ქალაქის ცენტრში ტერორისტმა ბინა დაიქირავოს, იქ ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი ნივთიერება შეიტანოს, ჩამოკიდონ დაჯავშნილი კარი, გაამაგრონ გისოსები, სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ან სპეცსამსახურების დაუდევრობის შედეგია, ან ხელისუფლების გარკვეული წრეების მფარველობის.

***– ვინმე ხელისუფლებიდან შეიძლება ტერორისტებს მფარველობდა?***

– სავსებით შესაძლებელია, რადგან მათ ჰქონდათ მოქმედების, გადაადგილების თავისუფლება, ქალაქის ცენტრში ჰქონდათ ბინა დაქირავებული. გვიპასუხონ, რატომ დასჭირდათ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სპეცოპერაციის ჩატარება, რომელიც, საბოლოო ჯამში, დამანგრეველი აღმოჩნდა.

# მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილს რუსული შავი ფული აქვს“

## „ამერიკელებს ურჩევნიათ, სააკაშვილი პოლონეთში იყოს და პოლიტიკას ჩამოსცილდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში უკრაინის პრემიერის ჩამოსვლა ნაცმოძრაობამ სააკაშვილის ექსტრადირების საკითხს დაუკავშირა. „ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

**მირიან მირიანაშვილი:**

– სააკაშვილის პოლიტიკურმა შოუმ უკრაინაში თავი ამოწურა. მისი აქტივობა და კარვები ტურისტულ ობიექტად, მხიარულ სანახაობად იქცა. სამწუხარო ისაა, რომ სააკაშვილის ჯამბაზობით თავი მოეჭრა საქართველოს. სიმბოლურია, რომ მას გაშლილი კარვები დაეწვა. ამას წერტილს დაუსვამდა მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება. ამაზე უკრაინელებს უკვე აქვთ ამერიკელების თანხმობა, ოღონდ, აშშ-ს საქართველოს უკრაინიდან გაყვანა სხვანაირად წარმოუდგენია.



***– როგორ?***

– პოლონეთის მეშვეობით. ამერიკელებს ურჩევნიათ, სააკაშვილი პოლონეთში იყოს და პოლიტიკას ჩამოსცილდეს.

***– უკრაინა, ალბათ, უფრო მშვიდად იქნება, თუ სააკაშვილის ექსტრადირება მის სამშობლოში მოხდება.***

– რასაკვირველია. საქართველო უკრაინას არ ესაზღვრება. გარდა ამისა, აქ სააკაშვილის წინააღმდეგ რამდენიმე საქმეა აღძრული. წესით, ქართული მხარე მისი გადმოცემის მიზნით უნდა აქტიურობდეს.

***– საქართველოს ხელისუფლებას ისევ არ აძლევს ხელს სააკაშვილის საქართველოში ყოფნა?***

– საქართველოს ხელისუფლება რუსეთის გავლენით ამას ისევ ეწინააღმდეგება. რუსეთს არ უნდა თავისი აგენტის ციხეში ყოფნა, ამერიკისათვის კი მთავარია, სააკაშვილმა რუსეთის დავალებით არ მოახდინოს დესტაბილიზაცია უკრაინაში.

***– უკრაინისათვის ექსტრადირების საკითხი აქტუალურია?***

– ამაზე მეტყველებს გროისმანის ვიზიტი საქართველოში. მალე ექსტრადირების თემა გახდება საქართველო-უკრაინის ურთიერთობების მთავარი ტრენდი.

***– უკრაინიდან სააკაშვილის გამოდევნა ვაშინგტონისთვისაც თუ საყურადღებოა, თბილისი ამას მხედველობაში რატომ არ იღებს?***

– ამერიკის ინტერესი საქართველოში სააკაშვილის ექსტრადირების მიმართ გამოკვეთილი არ არის. როგორც გითხარით, ამერიკისთვის მთავარია, მან რუსეთის მორიგი დავალებით არ აურიოს სიტუაცია უკრაინაში. ცოტა ხნის წინ უკრაინელებმა ქართველებს შემოუთვალეს, სააკაშვილს თვითმფრინავით ვაგზავნითო. მღებრიშვილის პირით თბილისმა კიევს უპასუხა, რომ ამ თვითმფრინავთან ტრაპს არ მიაყენებს. არადა, სააკაშვილს საქართველოს მოთხოვნით ინტერპოლი ეძებს. სააკაშვილთან მიმართებით დღის წესრიგში დგება ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა – მისთვის ნაძარცვი ქონების ჩამორთმევა.

***– ეს რეალურია?***

– სწორედ ახლა ხდება ეს შესაძლებელი. სააკაშვილს რომ დიდი რაოდენობით შავი ფული აქვს, ეს სიახლეს არ წარმოადგენს. ყველაზე არსებითი აქ ისაა, რომ ეს შავი ფული, ნაძარცვი, რუსეთის შავი სისტემის ნაწილია.



***– რუსეთის მმართველი ელიტის აღურიცხავ და ოფშორულ აქტივებს დასავლეთში შეისწავლიან.***

– სწორედ ეგაა ახლა მთავარი. აშშ პუტინისა და მისი ქვეშევრდომების ქონებისა და თანხების ამბავს იკვლევს. რუსული შავი ფულის გადანაცვლების შესასწავლად ამერიკელებმა საქართველო გამოიკვლიეს. საქართველო ერთი ჩვეულებრივი მაგალითი არაა. ეს არის ქვეყანა, სადაც კარგად ჩანს რუსული უკანონო სისტემის მოქმედება. სააკაშვილი მისი ნაწილია. ამის გამო საქართველო ვერ იქცა დამოუკიდებელ ქვეყნად.

საქართველოს თითქმის მთელი ეკონომიკა, მეტალურგიით დაწყებული, საავთიაქო და ოქროს ბიზნესით დამთავრებული, რუსების ხელშია. ფაქტობრივი მფლობელები რუსები არიან, ფიქტიურ მფლობელებს მნიშვნელობა არა აქვს. რუსეთს საქართველოს ეკონომიკიდან ყოველწლიურად 2 მილიარდი დოლარი მიაქვს. საქართველოს აქვს იმხელა რესურსები და სიმდიდრე, რომ მოსახლეობა კეთილდღეობაში აცხოვროს. ამ ძარცვის შედეგია მასობრივი სიღატაკე და ხალხის გადინება.

14 წლის განმავლობაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით გადაიზიდა 600 მილიონი ტონა ნავთობი. მისი ღირებულება 400 მილიარდი დოლარია. სად მიდის ეს ფული? მოგახსენეთ. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. მოგვეცა შანსი, გავხდეთ ამ სიტუაციის ბენეფიციარები.

***– ვაშინგტონის ჩარევით ეს შავი სისტემა დაიშლება?***

– რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების მთელი ძალით ამოქმედება დაშლის ამ სისტემას. 2 თებერვლისთვის დაზუსტდება პუტინთან შეკრული წრე, რომელიც შავი ფულის გადანაცვლებას ახდენს და დანაშაულებრივად მდიდრდება. დგება ხელსაყრელი მომენტი, რომ ნაძარცვი დავაბრუნებინოთ სააკაშვილს. რუსეთმა საქართველოს ეკონომიკის ხელში ჩაგდება დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან. სააკაშვილის დროს ამან ჩამოყალიბებული სახე შეიძინა. პირადად სააკაშვილის აქტივების უდიდესი ნაწილი აზერბაიჯანში, თურქეთსა და უკრაინაშია განთავსებული. მისი მიზანია, როგორმე შეინარჩუნოს ისინი. ეს სააკაშვილს უკვე უჭირს, იმიტომ რომ ამ დისკრედიტებულ კაცთან ღია კომუნიკაცია გაწყვიტეს იმ პოლიტიკურმა ცენტრებმა, რომლებიც მფარველობდნენ. დადგა დრო, სააკაშვილის მიერ ნაძარცვი ქონება ქვეყანას დავუბრუნოთ.

# უჩა ნანუაშვილის აწიოკება გადაიდო

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის აწიოკება ერთი კვირით გადაიდო. ქართული მარში ომბუდსმენის ოფისთან აქციის გამართვას დღეს, 28 ნოემბერს, აპირებდა. აქცია ბათუმში დატრიალებული ტრაგედიის გამო გადაიდო.

– უჩა ნანუაშვილის სამარცხვინო ქმედებები უნდა გავაპროტესტოთ, მაგრამ, როცა ქვეყანაში ასეთი საშინელება ტრიალებს, თავს უფლება არ მივეცით, ხალხის ყურადღება ცრუ სახალხო დამცველისკენ მიგვემართა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ქართული მარშის ერთ-ერთმა ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა.



მისი თქმით, უჩა ნანუაშვილი სულ ტყუილად ამოისუნთქავს შვებით, რადგანაც ქართული მარში მას ასაწიოკებლად მომავალ კვირას მიადგება.

– 5 დეკემბერს ქართული მარში მიაკითხავს სამარცხვინო ნანუაშვილს და მას ყველაფერზე მოვთხოვთ პასუხს, – ამბობს ქართული მარშის წარმომადგენელი.

თავიდან მარშელებმა თქვეს, რომ ისინი ნანუაშვილის ყურებით გამოთრევას აპირებდნენ. ვიღაცამ მათ ომბუდსმენის ჩასაყელოება გადააფიქრებინა და დაარწმუნა, რომ აქციაც საკმარისი იყო.

სადღობელაშვილი ამბობს, რომ ეს აქცია მომავალი სახალხო დამცველებისთვისაც მაგალითი უნდა იყოს.

– ისეთი აქცია უნდა გავმართოთ, რომ მომავალში სახალხო დამცველი მხოლოდ ხალხის დაცვაზე ფიქრობდეს. დღევანდელი სახალხო დამცველი კი მხოლოდ ლიბერასტების, გეებისა და სხვადასხვა უმცირესობის დაცვაზე ფიქრობს. ამ მხრივ არც მისი წინამორბედი გიორგი ტუღუში გამოირჩეოდა, ისიც კარგი ლიბერასტი იყო. ამ მხრივ შედარებით უკეთესი იყო სოზარ სუბარი. ის, მართალია, ლიბერალი იყო, მაგრამ ზოგჯერ ხალხის უფლებებსაც იცავდა, – აღნიშნავს სადღობელაშვილი.

მას იმედი აქვს, რომ ქართული მარშის აქციას საზოგადოების დიდი ნაწილი შეუერთდება.

– ჩვენ ამ გზით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ სახალხო დამცველად ლიბერასტი ლომჯარია. ეს ქალბატონი გახლავთ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძის სკოლელი. ეს თალაკვაძე, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, გიორგი ტუღუშის თანაშემწე იყო, როცა ის სახალხო დამცველის მოვალეობას ასრულებდა, – აცხადებს მარშის წარმომადგენელი.

მისი ინფორმაციით, „ოცნების“ დიდ ნაწილს სახალხო დამცველის პოსტზე სოფო ხორგუანი უნდოდა.

– სოფოც ლიბერალია, მაგრამ, სუბარის მსგავსად, ისიც დაიცავდა ხალხის უფლებებს. მისი ომბუდსმენად არჩევა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სოროსის მონებმა კობახიძემ, ჩუგოშვილმა და თალაკვაძემ თავიანთი თანამეინახე ლომჯარია გაქაჩეს.

ამას „ოცნებაში“ დიდი ამბები მოჰყვა. დეპუტატების დიდი ნაწილი პირად საუბრებში ამბობს, რომ ისინი ლომჯარიას წინააღმდეგი არიან, ამის საჯაროდ თქმის კი ეშინიათ, რადგანაც არ იციან, რას ფიქრობს ამაზე ივანიშვილი. ის თავის პოზიციას არ აფიქსირებს. მე მოვუწოდებ უკმაყოფილო დეპუტატებს, ჩვენთან ერთად წამოვიდნენ აქციაზე. ერთად დავუპირისპირდეთ ლიბერასტ სახალხო დამცველებს, – აღნიშნავს სადღობელაშვილი.

მისი თქმით, უნდა დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება და შეიცვალოს სახალხო დამცველის არჩევის წესი.

– მიმაჩნია, რომ ომბუდსმენს ხალხი უნდა ირჩევდეს და არა გაყალბების გზით არჩეული სოროსის მონა დეპუტატები, – მიაჩნიათ ქართულ მარშში.

# ლილოში ქარის ელექტროსადგურის აშენება იგეგმება



„კავკასიის ქარის კომპანიამ“ სახელმწიფოსგან დიდ ლილოში მდებარე 31.395 კვ.მ. მიწის ნაკვეთი უკვე შეიძინა. ქონებაში კომპანიამ 76.000 ლარი უნდა გადაიხადოს.

„კავკასიის ქარის კომპანია“ საქართველოში ქარის სადგურის აშენებას 7 ლოკაციაზე გეგმავს. ამ მიზნით, კომპანიამ მცხეთასა და თერჯოლაში მიწის ნაკვეთები უკვე შეიძინა.

განახლებადი ენერგიის სადგურებში 1 კვტ-ზე საშუალო ინვესტიცია 1-1.5 მლნ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მზის ელექტროსადგურების აშენებაც იგეგმება. სულ 10 ლოკაციაზე: ქსანში, მარნეულში, კასპში, ახალციხეში, გლდანსა და გარდაბანში.


## კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პროვაიდერთა მოწვევა

BP Exploration (Caspian Sea) Ltd - საქართველო იწვევს შესაფერის კომპანიებს ინტერესის გამოსახატად BP-ის თბილისის ოფისის კვებით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევაში. ქვემოთ მოცემულია ფასების შეთავაზების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა:

- კვებით უზრუნველყოფა – ცხელი ლანჩი (200-250 პორცია დღეში) და შეფუთული ლანჩი (10-15 პორცია დღეში, საღამოობით)
- წყლის მოწოდების უზრუნველყოფა
- მესამე მხარეებისგან შესყიდვა, მაგ. დანა-ჩანგლის, თეფშების და სამზარეულო ტექნიკისა, ოფისის სასადილოსთვის
- სასმელის პუნქტებით უზრუნველყოფა დაახლოებით 250 თანამშრომელზე, ჩაის ჩამომსხმელი ქალბატონების მიერ მომსახურების გაწევის ჩათვლით
- BP-ის ოფისისთვის საკვები უნდა მომზადდეს ფასის წარმდგენის შენობაში და მოხდეს ტრანსპორტირება იზოლირებული სატრანსპორტო საშუალებით, ჰიგიენის წესების და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვაწოდონ საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი შემდეგ ელ-ფოსტაზე: lomam0@bp.com ან კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის 24, მაკა ლომაძეს, PSCM კატეგორიის სპეციალისტს.

წარდგენის ვადა: 2017 წლის 1 დეკემბერი.


## გასწორება

**გაზეთ „ახალი თაობის“ 27 ნოემბრის ნომერში ანალიტიკოს გოჩა მირცხულავას ინტერვიუ გამოქვეყნდა. მირცხულავა პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიოს მოსკოვში ვიზიტზე საუბრობდა. გაზეთში საუბარია, რომ მეუფე შიო მოსკოვში მოსაყდრედ გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე წავიდა და იმავე დღეს დაბრუნდა.**

**სინამდვილეში უნდა ეწეროს, რომ მეუფე შიო მოსკოვიდან მოსაყდრედ გამოცხადების წინა დღეს დაბრუნდა.**

# აზერბაიჯანი იმპორტირებულ ავტომობილებზე განბაჟების ტარიფს ზრდის

„ევრო 4“-ს დაწესების შემდეგ აზერბაიჯანი იმპორტირებულ მანქანებზე განბაჟების ტარიფს ზრდის. აზერბაიჯანის მთავრობის გადაწყვეტილებით, ახალი ტარიფები 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან მეზობელ ქვეყანაში ავტომანქანების რეექსპორტი შესაძლოა კიდევ უფრო შემცირდეს.



აზერბაიჯანის მთავრობის გადაწყვეტილებით, თუ დღეისათვის 1,5-დან 3,0-მდე კუბ/სმ ახალი ავტომანქანების განბაჟება კუბურ სანტიმეტრზე 0,40 დოლარი ღირს, ახალი წლიდან ეს ტარიფი 0,70 დოლარამდე გაიზრდება. იმავე სიმძლავრის მეორად ავტომანქანებზე, დღეისთვის განბაჟება კუბურ სანტიმეტრზე 0,70 დოლარია და 1,10 დოლარამდე გაიზრდება, – წერს აზერბაიჯანული გამოცემაhaqqin.az.

მაგალითისთვის, თუ დღეს ახალი ავტომანქანა 2,0 კბ/სმ-ს მოცულობის ახალი ავტომანქანის განბაჟება 800 დოლარი ჯდება, მომავალი წლიდან ამ მოცულობის ძრავიანი ავტომანქანის განბაჟება 600 დოლარით გაძვირდება და 1.400 დოლარი გახდება. რაც შეეხება მეორად ავტომობილებს, ამ ეტაპზე 2,0 ძრავის მქონე მანქანა 1.400 დოლარი ღირს და ცვლილებების ამოქმედების შემდეგ 800 დოლარით გაძვირდება, ანუ 2.200 დოლარი ეღირება.

წლების წინ საქართველოსთვის აზერბაიჯანი ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა იყო რეექსპორტის მიმართულებით, მაგრამ მოგვიანებით, 2014 წელს, აზერბაიჯანი „ევრო-4“-ის სტანდარტზე გადავიდა და ქვეყანაში 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანების შეყვანა აიკრძალა. ამან ქართველი ავტოდილერები მნიშვნელოვნად დააზარალა.

ავტოდილერების ნაწილი აცხადებს, რომ განბაჟების ტარიფის ზრდის შემდეგ საქართველოდან აზერბაიჯანში ავტომობილების ექსპორტი აუცილებლად შემცირდება.

– რა თქმა უნდა, აზერბაიჯანში მანქანების რეექსპორტი შემცირდება. ისედაც დიდი რაოდენობით მანქანები აღარ გაჰყავთ. ბოლო პერიოდში კი გააქტიურდნენ, მაგრამ უმნიშვნელოდ. აქამდე თუ ჩვენს რეექსპორტში მათი წილი დაახლოებით 10% იყო, შემდეგ ეს 2%-მდე შემცირდება. განბაჟების ტარიფი თუ გაუძვირდებათ, ჩვენ გვთხოვენ, რომ იაფად მივყიდოთ. იაფად მიყიდვა არ გვაწყობს, ამიტომაც მგონია, რომ შემცირდება. მართალია, მათ ამას „ევრო-4“-ის სტანდარტები ავალდებულებს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ აზერბაიჯანული საწვავი სულაც არ არის ევროსტანდარტის, არც გზა აქვთ ამ სტანდარტის, მაგრამ მანქანებს „ევრო-4“-ისას ითხოვენ, რაც ცოტა გაუგებარია, – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას „ერესტ ინთერნეიშენალის“ მენეჯერი ნიკოლოზ როსტიაშვილი.

„კავკასიის ავტოიმპორტის“ დირექტორ გიორგი სურგულაძის თქმით კი აზერბაიჯანში რეექსპორტი არათუ შემცირდება, არამედ გაიზრდება კიდეც.

– რეექსპორტის მაჩვენებელი აზერბაიჯანში იგივე დარჩება და კიდევ უფრო გაიზრდება. ეს არ არის გლობალური ცვლილება. საბოლოო მომხმარებლისთვის მანქანები გაძვირდება. მაგრამ აზერბაიჯანს სხვა მოწოდების წყარო არ გააჩნია, საქართველოს ბაზარია ერთადერთი კარიბჭე მათთვის. მანქანები სჭირდებათ და ამიტომაც ჩვენგან გაჰყავთ.

მართალია, დუბაიდანაც გაჰყავთ მანქანები, მაგრამ იქიდან უფრო ძვირი უჯდებათ, ვიდრე ჩვენგან. შეიძლება, არის მოსაზრება, რომ რეექსპორტის მოცულობა შემცირდება, მაგრამ, ჩვენი პროგნოზებით, განბაჟების ტარიფის ზრდა რეექსპორტის შემცირებას არ გამოიწვევს, – განმარტავს სურგულაძე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ „კომერსანტისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2017 წლის 10 თვეში საქართველოდან ექსპორტზე 21.197 ავტომანქანა გავიდა, რაც 74%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

რაც შეეხება ფულად შემოსავლებს, აქ ზრდა შედარებით მცირეა, კერძოდ, რეექსპორტიდან შემოსავალი 31 მლნ დოლარით, დაახლოებით 23,7%-ით გაიზარდა.

# „ტურისტული ბიზნესი რომ განვითარდეს, სახელმწიფომ რთულ ადგილებზე ინფრასტრუქტურა უნდა გამართოს“

– თბილისში სასტუმროების რაოდენობამ ძალიან იმატა, რაც ცალსახად კარგია და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარებაზე მეტყველებს, – ამის შესახებ „კომერსანტს“ მიხეილ ლერმონტოვის №10-ში მდებარე IOTAHOTELTBILISI-ს გენერალურმა მენეჯერმა **დავით კუპრაშვილმა** განუცხადა.

ბიზნესში ჩადებული საწყისი კაპიტალი 20 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო სასტუმროში 150-მდე ადამიანია დასაქმებული.

***– დავით, უამბეთ „კომერსანტის“ მკითხველს IOTAHOTELTBILISI-ს შესახებ. როგორი იყო მისი ჩამოყალიბების პერიოდი და როდის შემოხვედით ბაზარზე?***

– როგორც ყოველთვის, ყველაფერი იდეით დაიწყო. გვსურდა, განსხვავებული და, ამავდროულად, სრულიად ქართული პროდუქტი შეგვექმნა. ამ იდეის განხორციელებას წელიწად-ნახევარი და ჩვენი გუნდის წევრების თავდაუზოგავი მუშაობა დასჭირდა. კომპანია 2015 წელს პარტნიორებთან ერთად დავაფუძნე, ხოლო სასტუმრო 2017 წელს გაიხსნა.

IOTA HOTEL TBILISI ხუთვარსკვლავიანი, მაღალი კლასის 90-ნომრიანი დიზაინ-სასტუმროა, რომელიც მომხმარებელს ეკოლოგიურ, მწვანე გარემოს სთავაზობს. 300 კვადრატულ მეტრზე ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბაღებია გაშენებული, მშენებლობისა და კეთილმოწყობის პროცესში კი ეკოლოგიურად სუფთა, ქართული ხის მასალებია გამოყენებული.

სასტუმრო ორი ტიპის საკონფერენციო დარბაზითაა აღჭურვილი, რომელთა ტევადობა, ჯამში, 180 ადამიანზეა გათვალისწინებული.

***– სასტუმროს გარდა, ამ სივრცეში ორი რესტორანი ფუნქციონირებს...***

– დიახ, სასტუმროს გარდა, ჩვენთან ფუნქციონირებს ორი რესტორანი, „IOTA GARDEN“, რომლებიც სტუმრებს ევროპულ და იაპონურ კერძებს სთავაზობენ და „GHUMELI“ რომლებშიც ქართული და ევროპული სამზარეულოს დაგემოვნება შეგიძლიათ. სულ მალე კი გაიხსნება ღვინის ბარი „ღვინის ობსერვატორია“.

***– ნებისმიერი სახის ბიზნესის შექმნის დროს სახელწოდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მის პრესტიჟს, სხვა მნიშვნელოვან დეტალებთან ერთად, სახელწოდებაც განსაზღვრავს. რატომ შეურჩიეთ სასტუმროს ამჟამინდელი სახელწოდება?***

– ეს დავიწყებული სიმბოლოს ამბავია. „იოტა“ ძველი ქართული ანბანის ასოა, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს, თანამედროვე, ლიტერატურული ენის შექმნის მიზნით ოთხ დანარჩენ ასოსთან ერთად ანბანიდან ამოიღეს. ეს ასოებია: ჰე, იოტა, ვიე, ხარი და ჰოე. საინტერესო ისაა, რომ „იოტა“ ქართულადაც და ინგლისურადაც ცოტაოდენს, მცირე რაოდენობას ნიშნავს. თუმცა, შესაძლოა, მცირეში ძალიან დიდი, მრავლისმომცველი იყოს ჩამალული. ბრენდის ფილოსოფია სწორედ ესაა: ნაკლები, როგორც მეტი.



***– თქვენი საფასო პოლიტიკა როგორია, რამდენად ხელმისაწვდომია ფასები საშუალო და დაბალ შემოსავლიანი სეგმენტისთვის?***

– ჩვენი სეგმენტი ძირითადად საშუალო და მაღალშემოსავლიანი მომხმარებელია. თუმცა, ვინაიდან დიდი ხანი არაა, რაც ბაზარზე შემოვედით, მაღალი კლასის სასტუმროს კვალობაზე ფასები საკმაოდ ხელმისაწვდომია.

***– ბოლო პერიოდში თბილისში სასტუმროების რაოდენობამ იმატა. თქვენი აზრით, ბაზარზე ჯანსაღი კონკურენცია როგორ პირობებში უნდა მოხდეს და თქვენ როგორ უწევთ სხვებს კონკურენციას?***

– დიახ, თბილისში სასტუმროების რაოდენობამ ძალიან იმატა, რაც ცალსახად კარგია და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარებაზე მეტყველებს. სწორედ ესაა ჯანსაღი კონკურენციის წინაპირობა: კონკურენციის გაძლიერება. ჩვენი უპირატესობა კი უნიკალური, ყველასგან განსხვავებული პროდუქტი, საუკეთესო ადგილმდებარეობა და სერვისის უმაღლესი ხარისხია.

***– რამდენად მარტივია ჩვენ ქვეყანაში, გქონდეს წარმატებული სასტუმრო ბიზნესი?***

– თუ საქმეს სერიოზულად და პროფესიონალურად ეკიდები, ბიზნესის წარმოება არასდროს არის მარტივი. საქმეს კი სერიოზულად უნდა მოეკიდო, რადგან სხვანაირად წარმატების მიღწევა შეუძლებელია. გამონაკლისი არც სასტუმროს ბიზნესია. ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში კი მოდუნება დაუშვებელია.

ზოგადად, საქართველოში ძალიან კარგი ბიზნესგარემოა, თუმცა სასამართლო პროცესების წარმართვისას მეტი სისწრაფეა საჭირო.

პროფესიონალი კადრის მოძიებას დიდი დროს სჭირდება. თუმცა, სფეროს განვითარების და მოთხოვნების ზრდის პარალელურად, კადრების პროფესიონალიზმიც იზრდება.

***– რას შეცვლიდით დღეს ეკონომიკაში, რაც ბიზნესის წარმართვას მეტად გაგიადვილებდათ?***

– საქართველო ულამაზესი ქვეყანაა. ძალიან კარგი იქნებოდა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან დიდი ბიუჯეტის გამოყოფა ულამაზეს, მაგრამ რთულად მისასვლელ ადგილებში. ეს პროცესი ბიზნესისა და ტურიზმის უკეთ მუშაობას შეუწყობს ხელს. ასე რომ, ტურისტული ბიზნესი რომ განვითარდეს, სახელმწიფომ რთულად მისასვლელ ადგილებზე ინფრასტრუქტურა უნდა გამართოს.

# „ლეოგრანდის“ მეპატრონე: „აღნიშნული სასტუმრო სტანდარტებს შეესაბამებოდა“



„ლეოგრანდის“ მეპატრონე ეროლ ავროგენი მწუხარებას გამოთქვამს 24 ნოემბერს ბათუმში, სასტუმრო „ლეოგრანდში“ დატრიალებული ტრაგედიის გამო. ამის შესახებ ავროგენმა გუშინ ბათუმში განაცხადა.

– 11 ადამიანი დავკარგეთ. ძალიან დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ დაღუპული ადამიანების ოჯახების წინაშე. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, საერთოდ არ გვიძინია. დღეს არის გლოვის დღე და, გამომდინარე აქედან, მათ ოჯახებში მივალთ. ჩვენ შეგვიძლია, ყველაფერი გავაკეთოთ, რაც აუცილებელი და საჭირო იქნება.

დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს პოლიციას, სახანძრო განყოფილებას, რომლებმაც ასე თავდადებით იმუშავეს. ჩამოსული იყო პრემიერ-მინისტრი, სხვადასხვა მინისტრები და ჩვენ მათთან ერთად ვისაუბრეთ ამ საკითხზე. კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას მომხდარის გამო და „ლეოგრანდში“ დასაქმებული პერსონალი არ გათავისუფლდება სამსახურიდან და გააგრძელებენ მუშაობას. აღნიშნული სასტუმრო შეესაბამებოდა სტანდარტებს, – განაცხადა ავროგენმა.

# ყოფილი სამინისტროების შენობებს გაყიდიან



ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძის ინფორმაციით, რამდენიმე სამინისტროს გაუქმების შედეგად გამოთავისუფლებული შენობების ნაწილი შესაძლოა პრივატიზაციას დაექვემდებაროს, ხოლო უძრავი ქონების ნაწილი ახალი სტრუქტურებისთვის იყოს გამოყენებული.

აღნიშნულ საკითხზე განმარტება კაკაურიძემ საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრისას გააკეთა, სადაც ოპოზიცია დაინტერესდა, თუ რატომ იხარჯება საბიუჯეტო თანხა ეკონომიკის სამინისტროს შენობის მშენებლობისთვის, როცა არსებობს უკვე აშენებული შენობები.

აღნიშნულ საკითხზე დისკუსიისას, უმცირესობის წევრების კითხვის პასუხად, კაკაურიძემ განაცხადა, რომ ეკონომიკის სამინისტროსთვის ახალი შენობის მშენებლობისთვის დაახლოებით 30 მილიონი დაიხარჯება.

მისივე ინფორმაციით, 8 მილიონი მიიღო ბიუჯეტმა ეკონომიკის სამინისტროს ძველი შენობის გაყიდვის შედეგად.

– 30 მილიონი ლარი არის საბიუჯეტო ხარჯი, რომელიც უნდა დაიხარჯოს კაბინეტებზე, ფუფუნებაზე და ეს იმ პირობებში, როცა შენობები უფუნქციოდ დარჩა. რატომ ხარჯავთ ამ თანხას ეკონომიკის სამინისტროსთვის შენობის ასაშენებლად და არ ზრდით პენსიას და დევნილთა შემწეობას, – მიმართა კაკაურიძეს „ევროპული საქართველოს“ წევრმა ირაკლი აბესაძემ.

აბესაძემ ასევე აღნიშნა, რომ სამინისტროების შემცირება ხდება გაუაზრებლად, მექანიკურად და არა საბიუჯეტო თანხების გამოთავისუფლების მიზნებისათვის.

# მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირება მკაცრდება



საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტ მურთაზ კიკორიას განცხადებით, წლის დასაწყისიდან, როდესაც ახალი რეგულაციები ამოქმედდა, ონლაინკრედიტების შემთხვევაში ვითარება შედარებით გამოსწორდა. თუმცა, კიკორიას თქმით, საფინანსო სექტორი მოქალაქეებისთვის საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს.

– ჩვენ შემოვიღეთ წლის დასაწყისში გარკვეული რეგულაციები, რამაც გავლენა ნამდვილად იქონია ამ სექტორზე. თუმცა ახლა გვაქვს ინიციატივა პარლამენტში წარდგენილი, რომლის თანახმადაც, მოვახდენთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სრულ რეგულირებას, დაწყებული რეგისტრაციიდან, დამთავრებული ლიკვიდაციამდე, ანუ ეს ორგანიზაციები მოექცევიან ეროვნული ბანკის რეგულირების ქვეშ სწორედ ისე, როგორც ეს კომერციული ბანკების შემთხვევაში ხდება.

დიდი იმედი მაქვს, რომ კანონმდებლები ინიცირებულ კანონპროექტს წლის ბოლომდე დაამტკიცებენ, – განაცხადა ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა მურთაზ კიკორიამ.

# „ლენდოს“ დაყაჩაღებაში ბრალდებული გიორგი კუკავა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს



მიმდინარე წლის 16 მარტს ზუგდიდში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლენდოს“ დაყაჩაღებაში ბრალდებული გიორგი კუკავა სასამართლომ გუშინ, 27 ნოემბერს, გაათავისუფლა.

აღსანიშნავია, რომ, „ნიუპოსტის“ ინფორმაციით, სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ დადო დასკვნა, რომლის თანახმადაც, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის ანაბეჭდები არ ემთხვეოდა დაკავებული გიორგი კუკავას ანაბეჭდებს და იგი ეკუთვნის სხვა პირს, რომელიც ასევე ეჭვმიტანილია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ვივუსის“ დაყაჩაღებაშიც.

კუკავა 9 თვის განმავლობაში საპატიმრო დაწესებულებაში უკანონოდ იმყოფებოდა, მოწმეები კი აცხადებენ, რომ მათ ზეწოლის ფონზე მოუწიათ კუკავას ამოცნობა და მისი დამნაშავედ დასახელება.

# ჩოხატაურში 17 წლის ბიჭს მანქანა დაეჯახა




ჩოხატაურის ცენტრალურ მაგისტრალზე 17 წლის ბიჭს მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

დაშავებულის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მას მოტეხილობა არ აქვს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

# ევა გოცირიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად არის წარდგენილი



ევა გოცირიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად არის წარდგენილი. გოცირიძის კანდიდატურის ინიცირება საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციების მიერ მოხდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი უმრავლესობის სახელით ბიუროს გუშინ, 27 ნოემბერს, წარედგინა.

საკონსტიტუციო სასამართლოში უფლებამოსილების ვადა მოსამართლე ლალი ფაფიაშვილს ეწურება.

# სოფელ რუხში 6.120 ღერი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის განყოფილების თანამშრომლებმა, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების შედეგად, აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას ქვემდებარე, უაქციზო სიგარეტის (ჯამში, 6,120 ღერი) შენახვა-გადაზიდვის რამდენიმე ფაქტი გამოავლინეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ცნობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი.

უწყებაში აცხადებენ, რომ საქმეთა მასალები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა.

# კობი-გუდაურის მონაკვეთზე ტრაილერი ამობრუნდა




კობი-გუდაურის მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. სავარაუდოდ, უამინდობის გამო ტრაილერი ამობრუნდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მძღოლი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდა.

# უმარ იდიგოვი: „ჩატაევს შევუთვალე, რომ საქართველოში ჩამოსვლისგან თავი შეეკავებინა“

## „საედი დუდაევი შეცდომით ჰყავთ დაკავებული. მას მანქანების ნაწილების ბიზნესი აქვს“



ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული პირი საედი დუდაევია. აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაუდასტურეს.

მათივე განმარტებით, საედი დუდაევის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს და ის მოსამართლე გიორგი მიროტაძეს დაეწერა.

სასამართლოში ასევე აცხადებენ, რომ პროცესი 28 ნოემბერს გაიმართება, თუმცა კონკრეტულ დროს ვერ ასახელებენ.

ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, სპეცოპერაციის დროს დაკავებული პირის წინააღმდეგ გამოძიება სსკ 328-ე და 323-ე მუხლებით მიმდინარეობს. აღნიშნული მუხლი პატიმრობას ვადით 10-დან 17 წლამდე ითვალისწინებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავარ პროკურატურაში განუცხადეს, გამოძიება უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებასა და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარებისთვის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის ტერორისტული მიზნით, მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა ტარების მუხლით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის საქმეზე დაკავებული პირი ლაფანყურის ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე სურხო დუდაევი იყო, თუმცა ეს დაკავებულის ადვოკატმა უარყო.

* * *

კავკასიის ხალხთა ინტეგრაციის ფონდის პრეზიდენტ უმარ იდიგოვის ინფორმაციით, ტერორიზმში ბრალდებული საედ დუდაევი სამართალდამცველებს შეცდომით ჰყავთ დაკავებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ იდიგოვმა განუცხადა, დაკავებული მისი ნათესავია და იცის, რომ მას ტერორიზმთან კავშირი არ ჰქონია. იდიგოვის თქმით, დაკავებული ადრე იმ ბინაში ცხოვრობდა, სადაც სპეცოპერაცია ჩატარდა.

– საედ დუდაევი არაფერში არ იყო ჩართული. იმ ბინას, სადაც სპეცოპერაცია ჩატარდა, რამდენადაც ვიცი, ჩეჩენ ოჯახზე აქირავებდნენ და ეს ოჯახი იყო დუდაევის. ჩამოდიოდნენ საქართველოში და საკუთარი ბიზნესი ჰქონდათ, მანქანების ნაწილების ბიზნესი. ის ადამიანი შეცდომით ჰყავთ დაკავებული. თუ გახსოვთ, ამ ბინაში ადრე ვინც ცხოვრობდა, ისინიც ჰყავდათ დაკავებული. მას ტერორიზმთან არასდროს არ ჰქონია კავშირი. იმ ბინაში ვინც ცხოვრობდა, იმათგან არავის არ იცნობდა. თუ იცნობდა, მაშინ მათთან ერთად იბრძოლებდა და ალბათ დაიღუპებოდა კიდეც, – განაცხადა უმარ იდიგოვმა.

მან ახმედ ჩატაევზეც ისაუბრა.

– დაახლოებით 2 თვის წინ მომმართეს ახმედ ჩატაევის წარმომადგენლებმა და მითხრეს, რომ მას უნდა საქართველოში ჩამოსვლა, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ უმარ იდიგოვმა.

როგორც მან აღნიშნა, ჩატაევს შეუთვალა, რომ საქართველოში ჩამოსვლისგან თავი შეეკავებინა.

– ჩატაევი აპირებდა ჩამოსვლას. მე მომმართეს მისმა წარმომადგენლებმა, დაახლოებით 2 თვის წინ და მითხრეს, რომ უნდა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ მე ვუთხარი, ამის შანსი არ არის-მეთქი. ადამიანი საერთაშორისო ძებნილია ინტერპოლით და საქართველო ჩეჩნების გამო ბეწვის ხიდზეა ისედაც. ამიტომ შევუთვალე, რომ აქ ჩამოსვლისგან თავი შეეკავებინა, – განაცხადა იდიგოვმა.

# შსს-მ ძარცვის ბრალდებით 1 პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ზ.წ., ძარცვის ბრალდებით, რუსთავში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 ნოემბერს რუსთავში, თოდრიას ქუჩაზე მდებარე ტექნიკის ლომბარდის ოპერატორს 1500 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ზ.წ. მომხდარიდან მეორე დღეს რუსთავში, ქუთაისის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ძარცვის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

# რობერტ ახალაიას, ანა ხელაძის მკვლელობის გარდა, ბრალად მისი გაუპატიურების მცდელობაც ედება




თბილისის საქალაქო სასამართლოში მამიდაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ რობერტ ახალაიას სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვა დაიწყო.

როგორც სხდომის დაწყებამდე „ინტერპრესნიუსს“ პროკურორმა გრიგოლ ბიბილაშვილმა განუცხადა, რობერტ ახალაიას ბრალად ედება გაუპატიურების მცდელობა და განზრახ მკვლელობა.

– მას ბრალად ედება გაუპატიურების მცდელობა და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკითა და სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით. ბრალდებისა და დაცვის მხარე, შესაბამისად, სასამართლოს წინაშე შესავალი სიტყვით წარვდგებით, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ პროკურორმა, რომელმაც გამოძიების დეტალებზე არ ისაუბრა.

მედიასთან კომენტარს არ აკეთებს ბრალდებულის ადვოკატი ოლგა გეჯაძე. როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ სხდომის დაწყებამდე განუცხადა, ბრალდებულის მოთხოვნით ამ საქმეზე ის კომენტარს აღარ გააკეთებს.

რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნას, რომელსაც ბრალდებულ რობერტ ახალაიას ჯანმრთელობისა და მათ შორის ფსიქიკური მდგომარეობა უნდა შეესწავლა, ადვოკატი „ინტერპრესნიუსთან“ ამბობს, რომ დასკვნა დაიდო, თუმცა, რა წერია დასკვნაში, დაცვის მხარე ამაზე კომენტარს არ აკეთებს.

– დასკვნა დაიდო, რა თქმა უნდა, თუმცა ვერაფერს გეტყვით. არ მინდა, დაცვის ქვეშ მყოფის პოზიციები დავარღვიო. არ უნდა, რომ რაიმე ინფორმაცია გავიდეს, – განაცხადა ოლგა გეჯაძემ.

სასამართლო სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს.

უზნაძის ქუჩაზე მკვლელობა 16 ივლისს მოხდა. 19 წლის ანა ხელაძის ცხედარი საცხოვრებელ სახლში იპოვეს. მას დანით მრავლობითი ჭრილობები ჰქონდა მიყენებული. პოლიციამ მკვლელობაში ბრალდებული რობერტ ახალაია მომხდარიდან მეორე დღეს ფოთში დააკავა.

მოკლული რობერტ ახალაიას მამიდაშვილი იყო. 19 წლის ანა ხელაძის მკვლელობაში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

საქმის პროკურორმა განაცხადა, რომ ექსპერტიზის წინასწარი დასკვნით ხელაძეს 8 ჭრილობა აქვს მიყენებული.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, ბრალდებულმა 19 წლის გოგონას ყელისა და კისრის არეში დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა, შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა, ზურგჩანთაში მოათავსა და მიიმალა.

პროკურორის თქმით, ახალაია მის მიერ მიცემული ჩვენებით, დანაშაულს ფაქტობრივად, აღიარებს.

– თავიდან არ მინდოდა პოლიციაში მისვლა, მაგრამ მერე ფოთში რომ ჩავედი და ღამე გავათენე, ზღვაზე პოლიციაც რომ მოვიდა, გავყევი და გზაში მივხვდი, რომ ასე ჯობდა, – აღნიშნა სასამართლოზე თავად ბრალდებულმა.

# პუტინი ტრამპს ახალ ხაფანგს უმზადებს




## რას წერს „ვაშინგტონ პოსტი“

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ სირიაში შექმნილი მდგომარეობის დეტალური მიმოხილვა გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ ტერორიზმთან ბრძოლის რამდენიმე სქემა არსებობდა. მიუხედავად ამისა, ტრამპმა რუსეთის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი მიიღო. მისი არსი შემდეგში გამოიხატება: აქცენტი მხოლოდ ტერორისტებთან, უწინარეს ყოვლისა, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაზე უნდა გაკეთდეს. საკითხი, დარჩებოდა თუ არა ასადი ხელისუფლებაში, მეორე პლანზე გადავიდა.

– ქალაქი რაქა, რომელიც ექსტრემისტებმა თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს, დაეცა, ასადმა კი თავისი პოზიციები განამტკიცა, – წერს გაზეთი.

„ვაშინგტონ პოსტის“ აზრით, ახლა ინიციატივა მთლიანად ასადის, ანუ რუსების ხელშია. კანონზომიერია, რომ სირიის მომავალი რუსეთ-თურქეთ-ირანის პრეზიდენტების შეხვედრაზე სოჭში განიხილეს, ამერიკელები იქ არც კი მიიწვიეს.

– პუტინმა იალტასთან პარალელები შემთხვევით როდი გაავლო. იალტის კონფერენციაზე ახალი მსოფლიო წესრიგი გამარჯვებულმა ქვეყნებმა (სსრკ-აშშ- ინგლისი) დაამყარეს. გამოდის, რომ სირიაში გამარჯვებული რუსეთია? – კითხულობს „ვაშინგტონ პოსტი“.

გაზეთის აზრით, ტრამპი პუტინის მიერ ოსტატურად დაგებულ ხაფანგში გაება. ტერორისტების ნაკლები დანაკარგებით დამარცხების სანაცვლოდ რუსეთმა თავისი ვასალის, ასადის ხელისუფლებაში დარჩენა უზრუნველყო. ეს მაშინ, როცა ასადს სამხედრო დანაშაული ედება ბრალად და ამას მთელ მსოფლიო აღიარებს.

– ახლა პუტინი ახალ ხაფანგს გვიმზადებს, – წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

სირიის გარდა, მეორე ცხელი წერტილი უკრაინაა. „ვაშინგტონ პოსტი“ ხაზს უსვამს, რომ იქ არა სამოქალაქო, არამედ რუსეთ-უკრაინის ომი მიმდინარეობს. რუსეთმა თავის მიზნებს ვერ მიაღწია და „ნოვოროსია“ ვერ შექმნა. მეტიც, უკრაინელებმა დონბასის 87% გაათავისუფლეს. ახლა რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს, გამოიყენოს ის, რომ დასავლეთს უკრაინაში მშვიდობა სურს და დონბასში სამშვიდობოების ჩაყენების იდეა წამოაყენა. ისინი უკრაინელ სამხედროებსა და სეპარატისტებს შორის და არა რუსეთ-უკრაინის საზღვარზე უნდა ჩადგნენ.

– ამით პუტინი ცდილობს, გადაარჩინოს სეპარატისტული რეჟიმი დონბასში, – წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ როგორც უკრაინის ხელისუფლება, ასევე ხალხიც სამშვიდობოების პუტინისეული სქემით ჩაყენების წინააღმდეგია. რუსეთის პრეზიდენტიც ცდილობს, დაიყოლიოს როგორც ევროპა, ასევე აშშ-ც, რომ უკრაინაზე ზეწოლა მოახდინონ. რადგან დასავლეთს მშვიდობა სურს, ეს უფრო სუსტის, ანუ უკრაინის ხარჯზე უნდა მოხდეს. ასეთია პუტინის გეგმა.

– რუსეთი ტრამპს ახალ ხაფანგს უმზადებს, ამჯერად უკვე უკრაინაში, – წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

# საუდის არაბეთში მუსლიმანური სახელმწიფოების ანტიტერორისტული კოალიცია შეიქმნა



საუდის არაბეთის დედაქალაქ ელ-რიადში მუსლიმანური სახელმწიფოების ანტიტერორისტული კოალიციის შექმნის შესახებ გამოაცხადეს.

მას პაკისტანელი გენერალი რაჰილ შარიფი უხელმძღვანელებს.

– დღეს, როცა ისლამური ექსტრემიზმის პრობლემა მწვავედ დადგა, სწორედ ჩვენი, მუსლიმანური ქვეყნების ვალია, ტერორისტებს საკადრისი პასუხი გავცეთ, – განაცხადა საუდის არაბეთის პრინცმა იბნ სალმანმა.

კოალიციის რიგებში გაერთიანდნენ იორდანია, ეგვიპტე, თურქეთი, ტუნისი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, მალაიზია, პაკისტანი, იემენი, მაროკო, სომალი, ნიგერია.

# კადიროვი მზადაა, გადადგეს

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ მზადაა, გადადგეს.

– იყო დრო, როცა საჭირო ვიყავი. აუცილებელი იყო ბანდიტიზმის აღკვეთა, წესრიგის დამყარება.



ახლა ეს ასე აღარაა, – განაცხადა კადიროვმა.

პუტინის ვასალმა თავისი პატრონისადმი ერთგულება კიდევ ერთხელ დააფიქსირა. მან განაცხადა, რომ პუტინი მისი იდეალია.

– მზად ვარ, პუტინის ნებისმიერი ბრძანება შევასრულო და მისთვის მოვკვდე! – ამბობს კადიროვი.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კადიროვის განცხადება გადადგომის შესახებ რუსეთის მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებითაა განპირობებული. კადიროვი ოდიოზური ფიგურაა. მის სახელთანაა დაკავშირებული მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ჩეჩნეთში. კადიროვს ნემცოვის მკვლელობის ორგანიზებასაც სდებენ ბრალად.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, კადიროვთან ალიანსი პუტინისთვის უკვე საზიანოა, მით უმეტეს, არჩევნების წინ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სკანდალი მოსკოვში




რუსეთის დედაქალაქში მორიგი სკანდალი მოხდა. ორგანიზაცია „ოტკრიტაია როსიას“ კონფერენციაზე პოლიცია გამოცხადდა. ძალოვნებმა კონფერენციის მონაწილეებს განუცხადეს, რომ დარბაზში შეიარაღებული და ნარკოტიკების მოქმედების ქვეშ მყოფი პირები იმყოფებოდნენ.

კონფერენციის მონაწილეებმა პროტესტი გამოაცხადეს, მაგრამ ამაოდ. პოლიციელებმა კონფერენციის ყველა მონაწილე გაჩხრიკეს, თუმცა ვერც იარაღი და ვერც ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები ვერ აღმოაჩინეს.

მიუხედავად ამისა, კანონის დამცველები წასვლას მაინც არ აპირებდნენ. მათ კონფერენციის ყველა მონაწილე სათითაოდ დაკითხეს და მხოლოდ ამის შემდეგ წავიდნენ.

კონფერენცია ჩაიშალა.

# რუსეთმა სირია კვლავ დაბომბა

რუსულმა ავიაციამ განახორციელა საჰაერო დარტყმა ალ-შარაფზე, რომელსაც ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები აკონტროლებენ.

შედეგად დაღუპულია 53 ადამიანი. მსხვერპლი ძირითადად მშვიდობიან მოსახლეობას შორისაა.

პარალელურად, ასადის არმიამ იერიში მიიტანა დამასკოს გარეუბანში გამაგრებულ ანტიასადურ ფორმირებებზე. ორმხრივი სროლისას არიან მოკლულები და დაჭრილები.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ტორპედო საქართველოს ჩემპიონია — საფინალო მატჩი წარმოუდგენელი სცენარით დასრულდა

**დინამო (თბ)-ტორპედო 0:1**

**თბილისი.** დინამო არენა

0:1 კაპანაძე (74)

96-ე წუთზე კიტეიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**დინამო:** ლიტოვჩენკო, გეგეჭკორი, სალუქვაძე, გადრანი, კობოური, კუცია (კოვტალიუკი 87), კიტეიშვილი, შულაია, მიქელთაძე, ქოჩლაძე (დავითაშვილი 70), ბ.ქავთარაძე

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, გ.გურული, ქიმაძე, გიგაური (ტუღუში 63), ფალავანდიშვილი (მამასახლისი 85), დოლიძე (კორობკა 74), კუხიანიძე, კუტალია, კაპანაძე

მსაჯის მიერ დამატებული მე-4 წუთი იწურებოდა, როცა მიკოლა კოვტალიუკი გიორგი გურულის ფეხს წამოედო და მსაჯმა გიორგი ვადაჭკორიამ პენალტი დანიშნა. 11 მეტრიდან ოთარ კიტეიშვილმა დაარტყა... ცენტრისკენ, მარჯვნივ გადამხტარმა როინ კვასხვაძემ ფეხი დაუტოვა და აუღო. თბილისის დინამოს დამატების უფლებაც კი არ ჰქონდა – დრო ამოწურული იყო და ქუთაისის ტორპედო ჩემპიონი გახდა. არადა, ქუთაისური გუნდი 35 ტურის განმავლობაში არ ყოფილა ჩემპიონატის ლიდერი და ბოლო ტურის დასრულების შემდეგ კი სათავეში აღმოჩნდა. ქუთათურები 2002 წლის შემდეგ პირველად, ისტორიაში კი მეოთხედ გახდნენ ჩემპიონები!

საქართველოს ჩემპიონი „დინამო არენაზე" გამართულ ქართულ დერბიში გამოვლინდა და დრამატული დაპირისპირება ქუთაისელთა გამარჯვებით დასრულდა – 1:0.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და მომენტები ორივე კართან მრავლად შეიქმნა. შეხვედრის ერთადერთი გოლი 75-ე წუთზე გავიდა, ვლადიმირ კორობკას ჩაწოდებას საჯარიმოში კაპანაძე გამოეხმაურა და ახლო მანძილიდან თავური დარტყმით გაიტანა.

გაშვებული გოლის შემდეგ დინამოელები გააქტიურდნენ და დიდი ძალით შეუტიეს მეტოქეს. კახაბერ კაჭარავას გუნდს მატჩის უკანასკნელ წუთზე ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შესანიშნავი შანსი მიეცა, მაგრამ...

შეხვედრის დასრულების შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ქუთაისის ტორპედოს კუთვნილი ოქროს მედლები და საჩემპიონო ფარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა გადასცეს.

***როინ კვასხვაძე:***

– ისეთი დღეა, შვილებსა და შვილიშვილებს მოვუყვები. მთელი ცხოვრება არ გამინელდება ის გრძნობა, რომელსაც განვიცდი. ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, ეს გრნობა განიცადოს. ეს გამარჯვება ჩვენს გულშემატკივარს ეძღვნება, მათ არაჩვეულებრივი გარემო შეგვიქმნეს. მოხარული ვარ, რომ ჩემი წვლილი შევიტანე ტორპედოს გაჩემპიონებაში. პენალტის დროს ერთი აზრი გიტრიალებს თავში, რამენაირად მოიგერიო და გახდე გმირი. ეს წამიერად ხდება, ბევრი ფიქრის დრო არ მქონდა, ვფიქრობდი, კუთხეში გადავმხტარიყავი. მარჯვნივ წავედი, მაგრამ ფეხის დატოვება მოვასწარი და, საბედნიეროდ, გამიმართლა. ძალიან ბედნიერი ვარ.

***კახა ჩხეტიანი:***

– აუცილებლად გამარჯვება გვესაჭიროებოდა, მადლობა უფალს გავიმარჯვეთ. სანახაობრივი შეხვედრა გამოვიდა, როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის შესრულებით. დინამო კარგი გუნდია და სასწაულებრივად მოვახერხეთ გამარჯვება. წინასწარ არ მიყვარს საუბარი და არასდროს მითქვამს, რომ ჩემპიონობა იყო ჩვენი მიზანი, თუმცა სეზონის წინ სწორედ ეს დავისახეთ მიზნად, დიდი შრომის ხარჯზე მივაღწიეთ ამ შედეგს. ჩემს ბიჭებს დიდი შრომა ჰქონდათ ჩადებული და დაუფასდათ კიდეც. მადლობა ჩვენს გულშემატკივარს, მთელს ქუთაისს ვულოცავ ჩემპიონობას.

**დინამო (ბთ)-კოლხეთი 1:2**

**ბათუმი.** რაგბი არენა

1:0 თევდორაძე (51პ), 1:1 ბუხაიძე (63), 1:2 დერებჩინსკი (79)

**დინამო:** ტიმოფეევი, ქორიძე, ვარშანიძე, თევდორაძე, სუხიაშვილი, კვირკველია (მგელაძე 46), ჩოგაძე, ნაკაშიძე, კვასოვი, ფლამარიონი (ოქროპირიძე 46), კვანტალიანი (კეკუა 80)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, გურეშიძე, გოგონაია, ნონდი, კაკულია, ბროვკო, დერებჩინსკი, ჯანელიძე, მაჩარია (ჟიშკარიანი 46), ბოლქვაძე, ბუხაიძე

გადათამაშების ზონაში ადგილის შენარჩუნება მოახერხა ფოთის კოლხეთმა. ფოთელები შავიზღვისპირულ დერბიში ბათუმის დინამოს დაუპირისპირდნენ და 2:1 დაამარცხეს მეტოქე.

ბათუმელები შეხვედრას იგებდნენ, თუმცა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და დამარცხდნენ. ანგარიში 51-ე წუთზე გაიხსნა, ვალერიან თევდორაძემ პენალტით გაიტანა.

ფოთელებმა წონასწორობა მალევე აღადგინეს, 63-ე წუთზე ლევან კაკულიას მოწოდებული კუთხურის შედეგად გიორგი ბუხაიძემ მოახერხა ანატოლი ტიმოფეევის კარის აღება. კოლხებმა აქტიური შეტევები გააგრძელეს და 77-ე წუთზე ალექსანდრ დერებჩინსკიმ გამარჯვების გოლი გაიტანა.

ამ გამარჯვებით ფოთის კოლხეთმა მე-9 ადგილი შეინარჩუნა და გადათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

**შუქურა-საბურთალო 1:2**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1, 0:2 ტერა (21, 65), 1:2 გურული (74)

**შუქურა:** სომხიშვილი, ჩადუნელი, პომაზანი (ჩაჩუა 64), ართმელაძე (ჩაგელიშვილი 46), ჯეფინიო, კლიმიაშვილი, შალამბერიძე, მარსელინიო (გოგილაშვილი 86), ა.გურული, კახელიშვილი, გოგიტიძე



**საბურთალო:** გოშაძე, თედ.გრიგალაშვილი, მამუჩაშვილი, იაშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი, ტერა, გვარაძე (შინდაგორიძე 84), თარხნიშვილი, ვოლკოვი (კოხრეიძე 55), მუეცი (იმნაძე 67)

ქობულეთის შუქურა ეროვნული ლიგიდან გავარდა. ბოლო ტურში ქობულეთელები თბილისის საბურთალოს დაუპირისპირდნენ. გადათამაშების ზონაში მოსახვედრად გიორგი შაშიაშვილის გუნდს საკუთარ მოგებასთან ერთად ფოთის კოლხეთის წარუმატებელი თამაში სჭირდებოდა. თუმცა საბოლოოდ ისე მოხდა, რომ შუქურა საბურთალოსთან დამარცხდა და საკუთარი შეხვედრა ფოთელებმაც მოიგეს.

აჭარლებმა თბილისელებთან გამართული შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და საწყის წუთებზე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. მიუხედავად ამისა, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. 21-ე წუთზე გიორგი სომხიშვილის კარი ელვინ ტერამ აიღო.

შეხვედრის მიმდინარეობა არც ამ გოლის შემდეგ შეცვლილა. შეტევას ორივე გუნდი ცდილობდა და შესაბამისად მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. 65-ე წუთზე საბურთალოელთა კენიელმა ლეგიონერმა, ნდუე მუეცის პასის შემდეგ დუბლი შეასრულა და მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვიტა.

შეხვედრის დასრულებამდე ქობულეთელებმა ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს. 74-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით ალექსანდრე გურულმა გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 1:2.

**ჩიხურა-ლოკომოტივი 1:0**

თბილისი. პეტრო არენა

**1:0 სარდალიშვილი (48)**

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მირცხულავა, ფონიავა, გაბედავა, სარდალიშვილი (დეკანოიძე 85), კორიფაძე, ტატანაშვილი (ცხადაძე 74), კაკუბავა, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, გორგიაშვილი (ჭელიძე 82)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, კიკალიშვილი, ანდრონიკაშვილი, ნ.ქავთარაძე, კიკაბიძე (ვარძელაშვილი 59), გოროზია (წულეისკირი 46), არველაძე, კობახიძე, რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი (გვალია 67)

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადმოსვლის შემდეგ საჩხერის ჩიხურას გათამაშება მე-5 ადგილზე ქვემოთ არასდროს დაუსრულებია. ერთგვარი ტრადიცია საჩხერელებმა არც 2017 წლის სეზონში დაარღვიეს და ბოლო ტურში თბილისის ლოკომოტივის დამარცხებით მე-5 ადგილი დაიკავეს.

„დავით პეტრიაშვილი არენაზე" გამართული შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა და იმერელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის სტარტზე გავიდა. 48-ე წუთზე ლაშა ჩიკვაიძის გამჭოლი პასით მიშიკო სარდალიშვილმა გაიტანა.

**სამტრედია-დილა 2:2**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

0:1 ძარია (31პ), 1:1 ოლაიტანი (50), 2:1 გი (76), 2:2 ფანცულაია (93)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, კასრაძე, ახალაძე, ბალდე, დათუნაიშვილი, მანჯგალაძე (მარკოზაშვილი 90), გი, რაჟამაშვილი (ოლხოვი 82), ოლაიტანი, საბანაძე (სამუშია 89)

**დილა:** ბეგაშვილი, მაჩაიძე, კვახაძე, პაპავა, ნონიკაშვილი (კუსიანი, 74), ფანცულაია, კერელეიშვილი, კირკიტაძე, მორასი, ძარია (ჰეიფორდი, 79), პედრინიო (აშორტია, 46)

ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე ადგილობრივმა სამტრედიამ გორის დილას უმასპინძლა. შეხვედრა სატურნირო თვალსაზრისით უინტერესო იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, გუნდებმა გულშემატკივრის უშელავათო ბრძოლა და საინტერესო თამაში უჩვენეს.

ანგარიში 31-ე წუთზე ირაკლი ძარიას ზუსტი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით სტუმრებმა გახსნეს. გაშვებული გოლის შემდეგ სამტრედიელებმა მწვავედ შეუტიეს, თუმცა პირველ ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა. იმერლებმა წონასწორობის აღდგენა მეორე ტაიმი საწყის წუთებზე შეძლეს, 50-ე წუთზე დავით რაჟამაშვილის ჩაწოდებით მაიკლ ოლაიტანმა გაიტანა. სწრაფმა გოლმა მასპინძლებზე კარგად იმოქმედა და სამტრედიამ სრული უპირატესობა მოიპოვა. გორელები ძირითადად კონტრშეტევებზე ცდილობდნენ თამაშის აგებას.

სამტრედიელთა შეტევებმა შედეგი 76-ე წუთზე გამოიღო, ანტე გიიმ მეტოქე გუნდის მცველების უყურადღებობით ისარგებლა და მოჭრილი დარტყმით გაიტანა.

მატჩის მიწურულს გაშვებული გოლის მიუხედავად დილამ ბოლომდე იბრძოლა და გიორგი დარასელიას გუნდმა შეხვედრის უკანასკნელ წუთზე წონასწორობა აღადგინა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გიორგი ფანცულაიამ გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:2.

მესამე ადგილი 68 ქულით სამტრედიამ დაიკავა. ქვეყნის ჩემპიონი 2018-19 წლების სეზონში უეფას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს. რაც შეეხება მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს, ისინი საქართველოს ევროპა ლიგაზე წარმოადგენენ.

წლევანდელი სეზონის ბომბარდირი 25 გატანილი გოლით თბილისის ლოკომოტივის ფორვარდი ირაკლი სიხარულიძე გახდა. მე-2-3 ადგილებს კი, 15-15 გატანილი გოლით, თბილისის დინამოს შემტევი, ბექა მიქელთაძე და ჩიხურას თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი იყოფენ.

ეროვნული ლიგის პლეი ოფის მატჩები 30 ნოემბერსა და 3 დეკემბერს გაიმართება. ფოთის კოლხეთი მარტვილის მერანთან შეხვედრებში შეეცდება უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებას. ბათუმის დინამოს მეტოქე კი ბოლნისის სიონი იქნება. შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში გამარჯვებული გუნდები ორმატჩიან დაპირისპირებაში გამოვლინდებიან.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტორპედო | 36 | 23 | 7 | 6 | 59-27 | 76 |
| 2.დინამო (თბ) | 36 | 23 | 6 | 7 | 79-29 | 75 |
| 3.სამტრედია | 36 | 20 | 8 | 8 | 62-39 | 68 |
| 4.საბურთალო | 36 | 18 | 6 | 12 | 61-42 | 60 |
| 5.ჩიხურა | 36 | 17 | 4 | 15 | 47-54 | 55 |
| 6.ლოკომოტივი | 36 | 16 | 5 | 15 | 63-53 | 53 |
| 7.დილა | 36 | 11 | 8 | 17 | 41-51 | 41 |
| 8.დინამო (ბთ) | 36 | 10 | 3 | 23 | 28-60 | 33 |
| 9.კოლხეთი | 36 | 6 | 8 | 22 | 31-73 | 26 |
| 10.შუქურა | 36 | 4 | 9 | 23 | 35-78 | 21 |

## შედეგები

**26 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

საუთჰემპტონი-ევერტონი ............ 4:1
ბარნლი-არსენალი ............ 0:1
ჰადერსფილდი-სიტი ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 13 | 12 | 1 | 0 | 42-8 | 37 |
| 2.მანჩესტერი | 13 | 9 | 2 | 2 | 28-6 | 29 |
| 3.ჩელსი | 13 | 8 | 2 | 3 | 24-11 | 26 |
| 4.არსენალი | 13 | 8 | 1 | 4 | 23-16 | 25 |
| 5.ტოტენჰემი | 13 | 7 | 3 | 3 | 21-10 | 24 |
| 6.ლივერპული | 13 | 6 | 5 | 2 | 25-18 | 23 |
| 7.ბარნლი | 13 | 6 | 4 | 3 | 12-10 | 22 |
| 8.უოტფორდი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-21 | 21 |
| 9.ბრაიტონი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-14 | 16 |
| 10.საუთჰემპტონი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-15 | 16 |
| 11.ჰადერსფილდი | 13 | 4 | 3 | 6 | 9-19 | 15 |
| 12.ლესტერი | 13 | 3 | 5 | 5 | 17-19 | 14 |
| 13.ბორნმუთი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-14 | 14 |
| 14.ნიუკასლი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-17 | 14 |
| 15.სტოკი | 13 | 3 | 4 | 6 | 16-26 | 13 |
| 16.ევერტონი | 13 | 3 | 3 | 7 | 13-28 | 12 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 13 | 2 | 5 | 6 | 10-19 | 11 |
| 18.ვესტ ჰემი | 13 | 2 | 4 | 7 | 12-26 | 10 |
| 19.სუონსი | 13 | 2 | 3 | 8 | 7-15 | 9 |
| 20.კრ.პალასი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-25 | 8 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნოტინგემი-კარდიფი ............ 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-ბილბაო ............ 2:2
სოსიედადი-ლას პალმასი ............ 2:2
ვილიარეალი-სევილია ............ 2:3
ვალენსია-ბარსელონა ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 11 | 2 | 0 | 34-5 | 35 |
| 2.ვალენსია | 13 | 9 | 4 | 0 | 33-12 | 31 |
| 3.ატლეტიკო | 13 | 7 | 6 | 0 | 21-6 | 27 |
| 4.რეალი | 13 | 8 | 3 | 2 | 25-11 | 27 |
| 5.სევილია | 13 | 8 | 1 | 4 | 17-14 | 25 |
| 6.ვილიარეალი | 13 | 6 | 3 | 4 | 21-15 | 21 |
| 7.სოსიედადი | 13 | 5 | 4 | 4 | 27-24 | 19 |
| 8.ბეტისი | 13 | 5 | 3 | 5 | 23-27 | 18 |
| 9.სელტა | 13 | 5 | 2 | 6 | 24-19 | 17 |
| 10.ხირონა | 13 | 4 | 5 | 4 | 16-19 | 17 |
| 11.ლეგანესი | 13 | 5 | 2 | 6 | 9-12 | 17 |
| 12.ხეტაფე | 12 | 4 | 4 | 4 | 19-14 | 16 |
| 13.ლევანტე | 13 | 3 | 6 | 4 | 14-20 | 15 |
| 14.ეიბარი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-26 | 14 |
| 15.ბილბაო | 13 | 3 | 4 | 6 | 14-18 | 13 |
| 16.ესპანიოლი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-15 | 13 |
| 17.დეპორტივო | 13 | 3 | 3 | 7 | 17-25 | 12 |
| 18.მალაგა | 13 | 2 | 1 | 10 | 11-28 | 7 |
| 19.ლას პალმასი | 13 | 2 | 1 | 10 | 10-32 | 7 |
| 20.ალავესი | 13 | 2 | 0 | 11 | 7-22 | 6 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბარსელონა ბ-ალმერია ............ 1:1
გრანადა-უესკა ............ 2:0
კორდობა-ლეონესა ............ 2:2
ლუგო-ოსასუნა ............ 1:0
ალბასეტე-ხიხონი ............ 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი ............ 3:0
კიოლნი-ჰერტა ............ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 9 | 2 | 2 | 31-10 | 29 |
| 2.ლაიპციგი | 13 | 8 | 2 | 3 | 22-15 | 26 |
| 3.შალკე | 13 | 7 | 3 | 3 | 20-14 | 24 |
| 4.გლადბახი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-22 | 24 |
| 5.დორტმუნდი | 13 | 6 | 3 | 4 | 33-20 | 21 |
| 6.ლევერკუზენი | 13 | 5 | 5 | 3 | 26-18 | 20 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 13 | 5 | 5 | 3 | 21-18 | 20 |
| 8.აუგსბურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 18-15 | 19 |
| 9.აინტრახტი | 13 | 5 | 4 | 4 | 14-13 | 19 |
| 10.ჰანოვერი | 13 | 5 | 4 | 4 | 16-16 | 19 |
| 11.ჰერტა | 13 | 4 | 5 | 4 | 18-19 | 17 |
| 12.შტუტგარტი | 13 | 5 | 2 | 6 | 13-16 | 17 |
| 13.მაინცი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-19 | 15 |
| 14.ვოლფსბურგი | 13 | 2 | 8 | 3 | 17-19 | 14 |
| 15.ჰამბურგი | 13 | 4 | 1 | 8 | 13-20 | 13 |
| 16.ფრაიბურგი | 13 | 2 | 5 | 6 | 9-25 | 11 |
| 17.ვერდერი | 13 | 1 | 5 | 7 | 8-16 | 8 |
| 18.კიოლნი | 13 | 0 | 2 | 11 | 4-25 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ზ.პაული ............ 4:0
კაიზერი-არმინია ............ 0:2
აუე-ბოხუმი ............ 1:1

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-რომა ............ 1:1
მილანი-ტორინო ............ 0:0
უდინეზე-ნაპოლი ............ 0:1
ლაციო-ფიორენტინა ............ 1:1
იუვენტუსი-კროტონე ............ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 14 | 12 | 2 | 0 | 35-9 | 38 |
| 2.ინტერი | 14 | 11 | 3 | 0 | 28-10 | 36 |
| 3.იუვენტუსი | 14 | 11 | 1 | 2 | 40-14 | 34 |
| 4.რომა | 13 | 10 | 1 | 2 | 24-9 | 31 |
| 5.ლაციო | 13 | 9 | 2 | 2 | 33-15 | 29 |
| 6.სამპდორია | 13 | 8 | 2 | 3 | 27-18 | 26 |
| 7.მილანი | 14 | 6 | 2 | 6 | 19-18 | 20 |
| 8.ბოლონია | 14 | 6 | 2 | 6 | 17-17 | 20 |
| 9.კიევო | 14 | 5 | 5 | 4 | 17-21 | 20 |
| 10.ტორინო | 14 | 4 | 7 | 3 | 18-20 | 19 |
| 11.ფიორენტინა | 14 | 5 | 3 | 6 | 23-19 | 18 |
| 12.ატალანტა | 13 | 4 | 4 | 5 | 19-18 | 16 |
| 13.კალიარი | 14 | 5 | 0 | 9 | 13-24 | 15 |
| 14.უდინეზე | 13 | 4 | 0 | 9 | 18-24 | 12 |
| 15.კროტონე | 14 | 3 | 3 | 8 | 11-27 | 12 |
| 16.სასუოლო | 14 | 3 | 2 | 9 | 8-24 | 11 |
| 17.ჯენოა | 14 | 2 | 4 | 8 | 12-20 | 10 |
| 18.სპალი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-23 | 10 |
| 19.ვერონა | 14 | 2 | 3 | 9 | 12-29 | 9 |
| 20.ბენევენტო | 13 | 0 | 0 | 13 | 6-33 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-ფოჯა ............ 1:0
ტერნანა-პერუჯა ............ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-ლიონი ............ 0:5
მარსელი-გენგამი ............ 1:0
მონაკო-პსჟ ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 12 | 2 | 0 | 45-10 | 38 |
| 2.ლიონი | 14 | 8 | 5 | 1 | 37-15 | 29 |
| 3.მონაკო | 14 | 9 | 2 | 3 | 36-15 | 29 |
| 4.მარსელი | 14 | 8 | 4 | 2 | 28-18 | 28 |
| 5.ნანტი | 14 | 7 | 2 | 5 | 13-15 | 23 |
| 6.კაენი | 14 | 7 | 1 | 6 | 10-14 | 22 |
| 7.მონპელიე | 14 | 5 | 5 | 4 | 12-8 | 20 |
| 8.სტ.ეტიენი | 14 | 5 | 4 | 5 | 16-20 | 19 |
| 9.რენი | 14 | 5 | 3 | 6 | 17-18 | 18 |
| 10.ამიენი | 14 | 5 | 3 | 6 | 13-14 | 18 |
| 11.ტრუა | 14 | 5 | 3 | 6 | 16-18 | 18 |
| 12.დიჟონი | 14 | 5 | 3 | 6 | 20-23 | 18 |
| 13.ბორდო | 14 | 4 | 5 | 5 | 17-20 | 17 |
| 14.ტულუზა | 14 | 4 | 4 | 6 | 13-20 | 16 |
| 15.გენგამი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-23 | 15 |
| 16.ანჟე | 14 | 2 | 8 | 4 | 17-23 | 14 |
| 17.სტრასბური | 14 | 3 | 5 | 6 | 17-26 | 14 |
| 18.ნიცა | 14 | 4 | 2 | 8 | 15-25 | 14 |
| 19.ლილი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-22 | 12 |
| 20.მეცი | 14 | 1 | 1 | 12 | 5-26 | 4 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

აიაქსი-როდა ............ 5:1
სპარტა-უტრეხტი ............ 1:3
ექსელსიორი-პსვ ............ 1:2
ვიტესი-დენ ჰააგი ............ 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ეშტორილი ............ 0:0
ფერეირა-სპორტინგი ............ 1:2
ბენფიკა-სეტუბალი ............ 6:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-კრასნოდარი ............ 0:1
რუბინი-ცსკა ............ 0:1
როსტოვი-ანჟი ............ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-იანგ ბოიზი ............ 1:2
სიონი-გრასჰოპერსი ............ 3:0
ციურიხი-ლოზანა ............ 2:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-აბერდინი ............ 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-აუსტრია ............ 1:2
რაპიდი-ზალცბურგი ............ 2:3

***რაპიდის მე-2 გოლი გიორგი ქვილითაიამ გაიტანა***

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენკი-სტანდარდი ............ 0:2
ანდერლეხტი-კორტრაიკი ............ 4:0
ბრიუგე-ვარეგემი ............ 3:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-პაოკი ............ 2:2
ასტერასი-ლევადიაკოსი ............ 2:0
პანეთოლიკოსი-ლარისა ............ 3:1
კერკირა-ოლიმპიაკოსი ............ 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-ქარაბუქი ............ 2:1
სივასი-ტრაბზონი ............ 1:2
ქაშიმფაშა-ქონია ............ 2:1
ანტალია-ფენერბახჩე ............ 0:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ტეპლიცე-პლზენი ............ 0:0
სიგმა-სპარტა ............ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-პლოცკი ............ 2:1
სლასკი-ზაგლებიე ............ 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვერესი-ჩერმორეცი ............ 3:1
ოლექსანდრია-კარპატი ............ 3:0
ზორია-ზვეზდა ............ 1:0
სტალი-დინამო ............ 0:2

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ჰორსენსი ............ 6:0
ოდენსე-ჰობრო ............ 3:0
კოპენჰაგენი-ლუნგბიუ ............ 5:1
სილკებორგი-ბრონდბიუ ............ 1:3

***სილკებორგის გოლი დავით სხირტლაძემ გაიტანა***

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-ტრომსო ............ 2:2
ვიკინგი-სტაბეკი ............ 2:0
მიოლდე-სარპსბორგი ............ 2:2
ალესუნდი-სტრომგოდსეტი ............ 4:3
სანდერფიორფი-ლილესტრიომი ... 1:3
სონგდალი-ვალერენგა ............ 5:2
ოდ გრელანდი-რუსენბორგი ............ 1:0
ჰაუგესუნდი-კრისტიანსუნდი ............ 2:3

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ბავშვიანმა პოლიციელმა ბანდიტებს ცეცხლი გაუხსნა



ბრაზილიის სან-პაულუს შტატის ქალაქ კამპუ-ლიმპუ-პაულისტაში პოლიციელი, რომელსაც ხელში ბავშვი ჰყავდა აყვანილი, შეიარაღებულ შეტაკებაში ჩაება.

სერჟანტი რაფაელ სოუზა არასამუშაო დროს მეუღლესთან და შვილთან აფთიაქში წამლის საყიდლად შევიდა. ამ დროს იქ ორი შეიარაღებული მძარცველი შეიჭრა.

სოუზამ პისტოლეტი ამოიღო და ერთ-ერთ მძარცველს ესროლა. მოგვიანებით მან გამომძიებლებს განუმარტა, რომ იძულებული იყო, პირველს ესროლა, ვინაიდან იფიქრა, რომ დამნაშავეები მას მოკლავდნენ, როდესაც გაიგებდნენ, რომ ის პოლიციელი იყო.

ორმხრივი სროლის შედეგად ორივე მძარცველი დაიღუპა.

## მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელები დასახელდა



ჟურნალმა ფორბსმა 2017 წლის მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელების რეიტინგი შეადგინა. პირველი ადგილი ამერიკელმა მოდელმა, 22 წლის კენდალ ჯენერმა დაიკავა, რომლის წლიურმა ანაზღაურებამ 22 მილიონი დოლარი შეადგინა.

მეორე ადგილზე აღმოჩნდა 37 წლის ბრაზილიელი მოდელი ჟიზელ ბუნდხენი, რომელიც 15 წლის განმავლობაში რეიტინგს ედგა სათავეში. მისმა შემოსავალმა 17,5 მილიონი დოლარი შეადგინა. მესამე ადგილზეა 31 წლის ამერიკელი კრისი ტეიგენი, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში 13,5 მილიონი დოლარი მიიღო.

რეიტინგში მერვე ადგილზე ერთადერთი აზიის წარმომადგენელი – ჩინელი ლიუ ვენ გავიდა 6,5 მილიონი დოლარით.

ჟურნალის ინფორმაციით, ათი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელის წლიურმა შემოსავალმა 110 მილიონი დოლარი შეადგინა.

## უზარმაზარმა პითონმა ვარანი ამოანთხია



ტაილანდის ერთ-ერთ სოფელში უზარმაზარმა პითონმა ვარანი მას შემდეგ ამოანთხია, რაც ის მაშველებმა დაიჭირეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გველი დიასახლისმა იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც ეზოში სარეცხს ფენდა. როგორც კი პითონი შენიშნა, მაშინვე მაშველები გამოიძახა. ადგილზე მისულ მაშველებს 4,2 მეტრი სიგრძისა და 20 კილოგრამი წონის გველის დასაჭერად ეზოს უკანა კედლის დანგრევა მოუხდათ.

პითონი შეეცადა, მათთვის წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ სამმა მაშველმა მისი მანქანაში მოთავსება მაინც მოახერხა, იქ კი პითონს აღებინა და გადაყლაპული ერთი მეტრი სიგრძისა და 15 კილოგრამი წონის ზოლიანი ვარანი ამოანთხია. სავარაუდოდ, გველი თავისი ნანადირევისგან სტრესის გამო გათავისუფლდა.

## ქალი კოღოს ნაკბენმა „გააქვავა"



ინდონეზიაში მოგზაურობის შემდეგ 37 წლის ბრიტანელ ცხოველთა დამცველ ქალბატონს უკურნებელი დაავადება დაუდგინდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

რებეკა უილერსი დიფუზიური სისტემის სკლეროდერმიით – კანის, სისხლძარღვების, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისა და შინაგანი ორგანოების შემაერთებელი ქსოვილის აუტოიმუნური დაავადებით იტანჯება. დაავადებული ადამიანების 10 პროცენტი ხუთი წლის განმავლობაში იღუპება.

2015 წელს უილერსი სუმატრაზე იმყოფებოდა, რათა მონაწილეობა მიეღო პროექტში, რომელიც ადგილობრივი ვეფხვის სახეობის გადარჩენას ითვალისწინებდა და რომელიც გაქრობის პირასაა. ბუნებაში ამ სახეობის სულ 500 ცხოველია შემორჩენილი. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სკლეროდერმიის სისტემის განვითარება კოღოს ნაკბენმა გამოიწვია.

დიდ ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ ქალმა რამდენიმე ავადმყოფობა გადაიტანა, რომლებსაც ერთმანეთთან, ერთი შეხედვით, არაფერი აკავშირებდათ. ამის შემდეგ კი მას სისტემური სკლეროდერმია დაუდგინდა.

ავადმყოფობის გამო მისი კანი და შემაერთებელი ქსოვილი მკვრივდება. თავად უილერსის თქმით, თავს ისე გრძნობს, თითქოს ქვავდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლუკაკუს 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება



მანჩესტერ იუნაიტედის ბელგიელ ფორვარდ რომელუ ლუკაკუს 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. ბრაიტონთან შეხვედრის დროს ლუკაკუმ ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქე გუნდის ფეხბურთელს ფეხი ჩაარტყა და ეს ეპიზოდი მატჩის მთავარმა არბიტრმა ვერ შეამჩნია.

ინგლისის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ამ საკითხს განიხილავს და შესაძლოა ლუკაკუს 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცენ. ამ შემთხვევაში ბელგიელი ფორვარდი გამოტოვებს მანჩესტერ სიტისთან შეხვედრას, რომელიც 10 დეკემბერს გაიმართება.

## მარიო გიოტცემ ტრავმა მიიღო



მარიო გიოტცემ მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც ის, სავარაუდოდ, თვეზე მეტს გამოტოვებს. გიოტცემ ტრავმა შალკესთან შეხვედრის დროს მიიღო და ამ მხრივ ძალიან არ უმართლებს, რადგან ხშირად იღებს ტრავმებს, რის გამოც გიოტცეს კარიერა ისე ვერ განვითარდა, როგორც უწინასწარმეტყველებდნენ.

გიოტცეს ტრავმა დორტმუნდის ბორუსიისთვის ძალიან ცუდ პერიოდს დაემთხვა, რადგან გუნდში აშკარა კრიზისია და გიოტცეს არყოფნა კიდევ ერთი უსიამოვნებაა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ვალენსიამ და ბარსელონამ ქულები გაიყვეს



ესპანეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში ვალენსიამ საკუთარ მოედანზე ბარსელონა მიიღო. ვალენსიამ წლევანდელი სეზონი ძალიან კარგად დაიწყო და გუნდი მეორე ადგილზეა. ვალენსიისა და ბარსელონის მატჩები თითქმის ყოველთვის დაძაბული გამოდის ხოლმე და ამჯერადაც ასე მოხდა.

პირველ ტაიმში მსაჯმა ბარსელონას აშკარა გოლი არ ჩაუთვალა, როდესაც ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, მაგრამ არბიტრმა ეს ვერ შეამჩნია და კატალონიელებს სუფთა გოლი წაართვა. მეორე ტაიმმა ორმხრივ შეტევებში ჩაიარა და ორივე გუნდმა თითო გოლის გატანა შეძლო.

საბოლოოდ შეხვედრა 1:1 დასრულდა და ბარსელონა კვლავინდებურად ლიდერობს ესპანეთის ჩემპიონატს.

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ერნერსტო ვალვერდემ შეხვედრის შემდეგ მატჩის მთავარი არბიტრი გააკრიტიკა და თქვა, რომ მსაჯმა მისი გუნდის საწინააღმდეგოდ უხეში შეცდომა დაუშვა.

– ყველამ დაინახა გოლი, მსაჯის გარდა. არ მესმის, მსგავსი შეცდომა როგორ შეიძლება დაუშვა. ზოგადად მსაჯებზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ამჯერად ამ თემას გვერდს ვერ ავუვლი, – განაცხადა ერნესტო ვალვერდემ.

## მილანის ახალი მწვრთნელი ჯენარო გატუზო იქნება



მილანის ახალი მწვრთნელი ჯენარო გატუზო იქნება. ვინჩენცო მონტელა ორშაბათს თანამდებობიდან ოფიციალურად გაათავისუფლეს და მის ნაცვლად მილანს გატუზო გაწვრთნის.

მილანი ბოლო თამაშებში ვერ აჩვენებს იმ შედეგებს, რასაც მისგან ითხოვს გულშემატკივარი და ხელმძღვანელობა, ამიტომ მონტელას გათავისუფლება თანამდებობიდან გასაკვირი არავისთვის ყოფილა.

ჯენარო გატუზო მილანის ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა და ამჯერად მას გაცილებით მნიშვნელოვანი თანამდებობა ექნება.

გატუზოს მილანის შემადგენლობაში უამრავი შეხვედრა აქვს ჩატარებული და ის ამ გუნდის ლეგენდად ითვლება.

## გენო პეტრიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია

გენო პეტრიაშვილმა 2017 წლის სეზონი კიდევ ერთი გამარჯვებით შეავსო. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ამჯერად 23-წლამდელთა მსოფლიოს კონკურენციაში აჯობა ყველას.

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში მიმდინარე ჩემპიონატზე პეტრიაშვილმა 4 შეხვედრა ჩაატარა, ოთხივე აშკარა უპირატესობით მოიგო. თავად განსაჯეთ: გენომ მსოფლიოს ჩემპიონატი იაპონელ ტაიკი იამამოტოსთან ადვილი გამარჯვებით (10:0) გახსნა. ფინალის გზაზე ჩინელი ჟანქსიანგ ჰუ (10:0) და უკრაინელი დანილო კარტავიც (14:1) ჩამოიცილა. გადამწყვეტ ბრძოლაში კი რუსეთის ნაკრების წევრ მაგომედამინ დიბიროვს დაუპირისპირდა და 3 წუთსა და 42 წამში 11:0 მოუგო.

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე 23-წლამდელთა ნაკრების წევრთაგან მსოფლიოს პოდიუმზე კიდევ 3 ქართველი ავიდა: მირზა სხულუხია (70 კგ), ავთანდილ კენჭაძე (74 კგ) და ირაკლი მწითური (86კგ).

სხულუხიამ ოქრო-ვერცხლის შანსი პირველსავე შეხვედრაში დაკარგა – მერვედფინალში ინდოელ კუმარ ომპრაკაშ ვინოდთან დამარცხდა (0:3). მას შემდეგ, რაც ვინოდმა კიდევ 2 ეტაპი დაძლია და ფინალის საგზური გაინაღდა, სხულუხია რეპეშაჟში გადაერთო და ბრინჯაოს გზაზე 2 მეტოქე ჩამოიშორა: უკრაინელი ალი ზაკარიევი (7:3) და იაპონელი ნობუიოში ტაკოჯიმა (3:0).

კენჭაძემ მონღოლ ბატსუხ ბოლდხუუს (13:2), ბელარუს ანდრეი კარპაჩისა (15:5) და იაპონელ იაჯურო იამასაკის (7:4) ძლევის შემდეგ ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, რუსეთის ნაკრების წევრ გაჯი ნაბიევთან წააგო (3:7), რეპეშაჟის ფინალში კი ამერიკელ ისაია ალექსანდერ მარტინესს ადვილად აჯობა (11:0).

მწითურმა ძირითად ბადეში თურქ მურატ ერთურქისა (6:1) და შვეიცარიელ სტეფან რეიჩმუტის (3:2) ძლევის შემდეგ მეოთხედფინალში ყაზახ აზამატ დაულეტბეკოვთან წააგო (1:7) და რეპეშაჟში გადაერთო. ბრინჯაოს გზაზე მწითურმა აზერბაიჯანელი ჰაჯიმურად მაგომედსაიდოვი (2:1) და კუბელი ლაზარო დანიელ ჰერნანდეს ლუისი დაამარცხა.



საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა მსოფლიოს 23-წლამდელთა ჩემპიონატზე 1 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## ასტროპროგნოზი
### 28 ნოემბერი



**ვერძი** – აქტიური და შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი თავდადებული შრომა ნანატრ შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **კურო** – სამსახურში კონფლიქტი გელით. ყველანაირ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ, იყავით მოწესრიგებული და გული არ გაიტეხოთ. **ტყუპები** – თავს ცუდად გრძნობთ. ქრონიკული ავადმყოფობები მწვავდება. სამსახურშიც პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა. **კირჩხიბი** – მთელი დღე ენერგიით ხართ სავსე. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. ამის მიუხედავად, სიძნელეები მაინც შეგხვდებათ. **ლომი** – დღეს თქვენი საქმიანი აქტივობა სათანადოდ დაფასდება. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **ქალწული** – შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი აქტიურობა ნანატრ შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **სასწორი** – იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური შესაძლებლობები. გეგმები საფუძვლიანად გეცვლებათ. **ღრიანკალი** – მძიმე დღეა. იყავით თვითკრიტიკული. პირველ რიგში, საკუთარ თავში განდიდების მანია დათრგუნეთ. **მშვილდოსანი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ელოდეთ პრობლემებს სამსახურში. იოლად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** – მთელი ენერგია საქმეს მოახმარეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობთ თავს სრულფასოვან ადამიანად. ნუ იქნებით სუბიექტური. **მერწყული** – უფროსობასთან კონფლიქტი გელით. შესაძლოა, სამსახურსაც კი დაემშვიდობოთ. აუცილებელია, მოვლენები რეალურად შეაფასოთ. **თევზები** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 2. დიდი სათევზაო ბადე; 3. აფრიკული გიგანტური ხე; 4. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 5. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 6. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება; 9. მკურნალობა სისხლის გადასხმით; 10. ქართველი მხატვარი ქალი; 11. აფხაზეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. აფრიკული ცხოველი; 16. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის ნაწილი; 18. შუამავალი ბირჟაზე; 20. ქართული ხალხური საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 23. უბანი თბილისში; 24. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 25. პირველი ახლადმოსული თოვლი; 26. საფრანგეთის კოსმოდრომი სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად:** 7. აჭარული ცეკვა; 8. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 12. შოკოლადის ხე; 13. ცხენის ნაშიერი; 15. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 17. საფოსტო გზავნილება; 19. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 21. „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 22. მტაცებელი ფრინველი; 27. ნახატის, წარწერის ამოკვეთა ლითონზე, ხეზე ან ქვაზე; 8. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. პარაბოლა; 6. კრიზისი; 8. ნიტრატი; 10. კარაბინი; 11. ტიკალი; 13. ქტიტორი; 16. პარიტეტი; 18. სილიო; 19. ასული; 21. კვამლი; 22. არბალეტი; 23. კარიესი.

**შვეულად:** 1. გარანტია; 2. პორტი; 3. „ტიტანიკი"; 4. დილემა; 7. მტერი; 9. ალუჩა; 12. პროვიდენსი; 14. ჭერამი; 15. პასტორი; 17. პირანია; 20. კვოტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. იოლი; 2. ტურ; 3. ტურ; 4. კრედიტი; 5. კიო; 6. ლიე; 7. ლარი; 8. ალაჰი; 9. ირისი; 10. სი; 11. მაკიაველი; 12. ადრეული; 13. აბრა; 14. რიკარდო; 15. ბალასტი; 16. ბჰუტანი; 17. ბანი; 18. ელერონი; 19. პამფლეტი; 20. აპაში; 21. მადრასი; 22. ნული; 23. ნება; 24. „სპირალი"; 25. რქა; 26. ამინ; 27. პირამიდა; 28. რალი; 29. პანო; 30. აპოსტერიორი; 31. რა; 32. იო; 33. და.

**სურათებზე:** დერილ ჰანა; ჯიმი ფლოიდ ჰასელბანკი.

# თამრიკო ჭოხონელიძემ მცხეთას ჰიმნი უმღერა



„მცხეთა“ – ასე ეწოდება ახალ სიმღერას, რომელიც მომღერალმა თამრიკო ჭოხონელიძემ ჩაწერა. სიმღერას მომღერალი დავით არჩვაძესთან და სვეტიცხოვლის მგალობელთა გუნდთან ერთად ასრულებს.

– სიმღერა, რომელიც სრულიად ერმა უნდა იმღეროს! –ასე შეაფასა მამა პეტრემ (კვარაცხელია) ახალი სიმღერა.

– რწმენა გადაგვარჩენს ისევ! – ეს არის შემოქმედებითი ჯგუფის მთავარი გზავნილი მსმენელისათვის.

სიმღერის ავტორი დავით არჩვაძეა, ლექსის ავტორი – პეტრე კოლხი, არანჟირების ავტორი კი – დავით უგრეხელიძე.

თამრიკო ჭოხონელიძის ახალი სიმღერა ბრავო რეკორდსში ჩაიწერა. ვიდეორგოლი მცხეთაში სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარშია გადაღებული.

ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მას უამრავი გაზიარება, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

# გიორგი კეკელიძემ მე-19 სტიპენდიატი დააჯილდოვა



ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ გურული დღიურების ფონდის ეგიდით რიგით მე-19 სტიპენდიატი დააჯილდოვა.

**გიორგი კეკელიძე:**

– მორიგი, მეცხრამეტე სტიპენდიატი გვყავს: ძალიან ნიჭიერი გოგონა ზემო სურებიდან, მარიკა მეგრელიშვილი ჩოხატაურში ივლიტას ბიბლიოთეკაში დავაჯილდოეთ. „გურული დღიურების ფონდი“ გამორჩეულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს სტიპენდიებს უნიშნავს და ასე ზრუნავს მომავალზე.

# ქართველი მხატვრის ნამუშევარი სოთბის აუქციონზეა



28 ნოემბერს ლონდონში სოთბის აუქციონი გაიმართება.

ბაია გალერეამ საერთაშორისო ხელოვნების ბაზარზე მერაბ აბრამიშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ვახო ბუღაძისა და კოტე სულაბერიძის ნამუშევრების შემდეგ კიდევ ერთი ქართველი მხატვარი დავით გაბიტაშვილი წარადგინა.

ეს არის რიგით მეხუთე მხატვარი, რომელიც გალერეის რეკომენდაციით მონაწილეობს ლონდონის სოთბის აუქციონზე „საბჭოთა კავშირის ხელოვნება“.

სოთბის აუქციონზე დავით გაბიტაშვილის ნამუშევარი „ზაფხული სოხუმში“ იქნება წარმოდგენილი და მისი ფასი 8-დან 12 ათას ფუნტ სტერლინგამდეა.

# ლონდონში გალაკტიონ ტაბიძის კრებულის პრეზენტაცია გაიმართა




ლონდონში გალაკტიონ ტაბიძის ინგლისურენოვანი კრებულის „დისქავერ გალაქტიონ“ (აღმოაჩინე გალაკტიონი) პრეზენტაცია გაიმართა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ინესა მერაბიშვილის მიერ თარგმნილი გალაკტიონის ლექსების კრებული ერთ-ერთმა გამომცემლობამ დაბეჭდა.

ინგლისურ ენაზე გამოცემული გალაკტიონის ახალი წიგნი ამაზონზეა განთავსებული და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისთვის. 215-გვერდიანი წიგნი გალაკტიონის 60 ლექსს აერთიანებს. კრებულს თან ახლავს მთარგმნელის ვრცელი შესავალი და კომენტარები, ასევე პოეტის არქივში დაცული ფოტო და ხელნაწერი დოკუმენტების ასლები.

გალაკტიონის წიგნის წარდგინება ლონდონის ბრიტანეთისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავს მიეძღვნა, რომელსაც საქართველოში ბრიტანეთის ყოფილი ელჩი დონალდ მაკლარენი დაესწრო:

– მოხარული ვარ, რომ დავესწარი ამ ღონისძიებას. მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის კულტურას შორის ასეთი ხიდის არსებობა. ამ საღამოზე ბევრი გავიგეთ ქართველი პოეტის შემოქმედების შესახებ. როდესაც გალაკტიონის ჩანაწერი გაისმა, რითმის უკეთესი შეგრძნების შესაძლებლობა მოგვეცა.

პროფესორი ინესა მერაბიშვილი 13 წელია ინგლისურ ენაზე თარგმნის გალაკტიონის ლექსებს. ქართულმა და ბრიტანულმა გამომცემლობებმა თარგმანები უკვე ორჯერ გამოსცეს.

**მოამზადა**
**ეკა ირემაშვილმა**

# საბავშვო ევროვიზიამ პროტესტი გამოიწვია

მომღერლები, მსახიობები, პროდიუსერები და რიგითი მაყურებლები ქართული ჟიურის მიერ რუსეთისთვის უმაღლესი 12 ქულის მინიჭებას აპროტესტებენ და სოფო გელოვანს, ზაზა წურწუმიას, თამრიკო სხვიტარიძესა და ორ 15 წლის მოზარდს მონებსა და სამარცხვინოებს უწოდებენ.

***სოფო ტოროშელიძე, მომღერალი:***

– რუსებს 12 ქულა?! ძალიან არასწორი და არაპატრიოტული ნაბიჯია!!!

***ანრი ჯოხაძე, მომღერალი:***

– თურმე ქვეყნის დემორალიზება 12 ქულასაც შეუძლია... „ღრუზინული ჟიური“.

***მაია დარსმელიძე, მომღერალი:***

– მოგი..ანთ მდაბიო, ტვინნაღრძობი დედის ტ..კი და უთავმოყვარეო ვაზელინი 12 ქულა, რუსგრუზინა ყრუ ბანძუშკებო.

***კოკო როინიშვილი, მსახიობი:***

– რუსეთმა გაიმარჯვა საქართველოში ქართველების მინიჭებული 12 ქულით. საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ჩვენი ფულით დაფინანსებულ არხზე, ოკუპანტების დროშა აფრიალეს. სირცხვილია.... სახელმწიფოებრიობის შეგრძნება რატომ არ გვაქვს? არ შეიძლება, რომ უარი ვთქვა ჩემს წილზე საზოგადოებრივ მაუწყებელში? არ მინდა, რომ ეს არხი დავაფინანსო 1 თეთრითაც კი...

***გიორგი ნაზღაიძე, ტელეწამყვანი:***

– შენივე ჟიურის გამო რომ წააგებ, ფურთხის ღირსი ყოფილხარ, ჩემო ქვეყანა.

***მამუკა ლომაშვილი, მსახიობი:***

– რუსეთი ამ ბოლო დროს ძალიან შემოვიდა ჩვენში...

***გია როინიშვილი, მსახიობი:***

– 12 საქართველოზე განრისხებული ჟიურის წევრი – სამარცხვინოები! მთავარია, ,,ქართველობა“ არ დავკარგოთ სადმე ,,გახრწნილ“ ევროპაში ან ,,ჩადრიან“ აღმოსავლელთა შემოსევით!!! რუსული ტანკი ჩრდილოეთ საქართველოს გაყოლებაზე დგას, რუსული სპეცსამსახურები კი – მთელ საქართველოში...... იქნებ კორიდაზე გაგდებული ხარივით ნაჭრის, დროშის ფრიალმა გამოაფხიზლოს მძინარე ქართველი, თორემ ,,გაყიდულები“ ფხიზლად არიან...

***ნეკა სებისკვერაძე, მომღერალი:***

– გრიგოლი არ იმსახურებდა სულ რამდენიმე ქულით რუსეთთან დამარცხებას! უსამართლობააა! ეს ჩემი პირადი აზრია!

***დავით იმედაშვილი, პროდიუსერი:***

– რუსეთს თუ არ მიეცი, ისე რაა მამული? ქართული ჟიური, ყოჩაღ!!!

***ირაკლი ჩოლოყაშვილი, მსახიობი:***

– აფრიალებთ ხომ ოკუპანტის დროშას „საზოგადოებრივზე“ ჩვენი გადახდილი ფულით...?! გამყიდველებო!

***ელენე ოთარაშვილი, მომღერალი:***

– საქართველოში იმარჯვებს რუსეთი ქართული ჟიურის დიდი დახმარებით! რა ახსნა აქვს ამას?!

***ნიკა გვარამია, რუსთავი 2-ის დირექტორი:***

– ევროვიზიის ქართული ჟიური ღირსია, მთელი ცხოვრება ლეფსები და ალეგროვები ასმენინო. გოიმები და ყრუები კაი, 2008 წელს მაინც სად ეყარეთ?!! ეკუთვნოდეს მაინც იმ რუს ბავშვს 12, ბღაოდა




სიმღერის ნაცვლად... საბავშვო ევროვიზიაზე გრიგოლ ყიფშიძე იგივე იყო, მე რომ ახლა ჩემი სანდროს კლასელებს შევეჯიბრო კითხვაში. უმაგრესი ბიჭი დიდი მომავლით. ჟიური მოვიგეთ 21 ქულის უპირატესობით მეორე ადგილთან და მაყურებელმა მე-11-ზე გაგვიყვანა. ჯამში, მეორე ადგილი სულ სამი ქულის სხვაობით პირველთან, რუსეთთან. ჩვენებს რომ არ გაეთრიათ პირველზე, მოვუგებდით.

***ნატალია ქუთათელაძე, მომღერალი:***

– მსგავსი დაბალი დონის, უგემოვნო, არაობიექტური, პოლიტიკური და ჯღანი კონკურსი კიდევ თუ არსებობს, არც ვიცი... ბოდიშს ვიხდი ყველა სხვა მონაწილესთან, ვისაც აქამდე მიუღია მონაწილეობა, თუმცა, იმედი მაქვს, დამეთანხმებიან, რომ ყოველ ჯერზე საბოლოო შედეგი არის სრულიად გაუგებარი. იქნებ უბრალოდ აღარ მივიღოთ მონაწილეობა, ჰა?

***ნატალი ვეფხვაძე, მომღერალი:***

– ძალიან მიხარია, საქართველომ და რუსეთმა ქულებით რომ გამოხატეს მეგობრობის სურვილი. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. ბრავო ორივე ქვეყანას.

***ბუკა კარტოზია, პროდიუსერი:***

– გრიგოლს ქართულმა ჟიურიმ წააგებინა და უნდა გრცხვენოდეთ, ძალიან უნდა გრცხვენოდეთ! გრიგოლს ქართულმა ჟიურიმ წააგებინა! ჟიურის ყველა წევრს უნდა რცხვენოდეს!

***ბექა მჭედლიშვილი, საქართველოს ავიახაზების პიარმენეჯერი:***

– საბავშვო ევროვიზიაზე რუს კონკურსანტს 12 ქულა მისცეს მომღერალმა სოფო გელოვანმა, კომპოზიტორმა ზაზა წურწუმიამ და სტუდია „ბასტი ბუბუს“ ხელმძღვანელმა თამარ სხვიტარიძემ. ქართველმა კონკურსანტმა წააგო 2 ქულით რუს კონკურსანტთან, ანუ ამათ რომ მაქსიმალური ქულა არ მიეცათ რუსეთისთვის, ჩვენ ვიგებდით. მალადეც!

***თამრიკო სხვიტარიძე, საბავშვო ევროვიზიის ჟიურის წევრი:***

– ხმამაღლა ვაცხადებ, ვიჯექი ევროვიზიის ჟიურიში. მომეწონა რუსეთის კონკურსანტის გამოსვლა, მაგრამ ხმა არ მიმიცია მისთვის, ყველაზე მეტი ქულა სომხებს მივეცი. თუმცა, ჩემ გარდა, ჟიურიში კიდევ 4 წევრი იყო, მათ შორის ორი ბავშვი. ჩვენ ერთმანეთის შეფასებების ნახვის უფლება არ გვქონდა. ის, რომ საქართველომ რუსეთს მისცა 12 ქულა და რუსეთმა საქართველოს ასევე 12 ქულა მისცა, ეს კარგი ამბავი მგონია. ბავშვები არ უნდა გაიზარდონ მტრულად. თუმცა, ვთვლი და ჟიურიშიც ხმამაღლა ვთქვი, რომ საქართველოში რუსეთის გამარჯვება ტეხავს. და კიდევ, სულ რომ 2 ქულა მიეღო რუსეთს ჩვენგან, მაინც რუსეთი გაიმარჯვებდა, რადგან ქართველმა ხალხმა არ იაქტიურა და ხალხის ხმა დააკლდა გრიგოლს და არა ჟიურის ხმა. ნერვებაშლილი თამრიკო. ეს ბოლოა ჩემი ევროვიზიასთან გაკარება – ეს კონკურსი აშკარად ჩემი არ არის.

***სოფო გელოვანი, საბავშვო ევროვიზიის ჟიურის წევრი:***

– საწყენია, რომ საქართველოს წარმომადგენელმა მხოლოდ მეორე ადგილი აიღო, მით უმეტეს, რომ გრიგოლი გამარჯვებას ყველაზე მეტად იმსახურებდა. საერთოდ არ მინდოდა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ სოციალურ ქსელში ამ თემაზე პოლემიკამ ისეთი მძაფრი ფორმა მიიღო, რომ იძულებული გავხდი, საკითხით დაინტერესებული პირებისათვის ასეთი განმარტება გამეკეთებინა. მინდა, ყველას გასაგონად განვაცხადო: როგორც ჟიურის ერთ-ერთ წევრს, არ მიმიცია უმაღლესი შეფასება რუსი კონკურსანტისათვის.

პ.ს. 2017 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებული რუსეთის წარმომადგენელი პოლინა ბოგუსევიჩი გახდა. რუსმა კონკურსანტმა 188 ქულა მოიპოვა. მეორე ადგილი 185 ქულით გრიგოლ ყიფშიძემ დაიკავა. საბავშვო ევროვიზიის რიგით მე-15 კონკურსი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა. საქართველომ კონკურსს პირველად უმასპინძლა. წელს კონკურსში 16 ქვეყანა მონაწილეობდა.

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფარმაცევტთა ოფიციალური სახელმძღვანელო კრებული; 2. ებრაელთა ახალი წელი; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 4. იაპონური აბანო; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 6. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ირანის ნავსადგური; 7. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 9. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 13. მდინარე გურიაში; 17. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

**თარაზულად:** 1. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 3. პალესტინის ულტრანაციონალური ორგანიზაცია; 8. ბადრიჯნით, პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 10. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 11. ყვითელი ფერის გამჭვირვალე, მტკიცე, ფისოვანი მინერალი; 12. ღვინის კასრების მკეთებელი ოსტატი; 14. ხელოვნურად გაშენებული ტყე; 15. მაღალხარისხოვანი თიხის ნაკეთობა; 16. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამხრეთ საფრანგეთში; 19. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 20. ქართული ძილისპირული; 21. სადაზღვევო მოწმობა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

# პროგრამა

**სამშაბათი**
**28 ნოემბერი**

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მოგზაური დორა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 01.50** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25, 23.15** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **14.30** დოკ/ფ "მეცნიერება - ხვალ უკვე დღეს" **15.30, 05.50** დოკ/ფ "ესპანეთის ხელოვნება" **16.30** ტ/სერ. "**ველვეტი**" **18.30, 06.50** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **00.15** მხ/ფ "**სოლტი**" (ა.ჯოლი) **2.50** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **03.50** მხ/ფ "**მერი შელის ფრანკენშტეინი**"(რ.დე ნირო)

**06.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** პოლიტიკური თოქ შოუ - პირისპირ **23.30** სერ. "**დიდი შესვენება**" 5 სერ. **00.10** მხ/ფ "**ციმბერლინი**" **02.00** მხ/ფ "**ჰანა**" **04.00** მხ/ფ "**ბრუკლინელი პოლიციელები**"

**06.00, 18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ბზარი**" **22.00** არჩევანი **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv პირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.40, 23.00** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** რეაქცია **23.30** ღალატი

**08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**შავი კოდი 2**" **11.00** მხ/ფ "**შოუ იწყება**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 4**" **18.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 5**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 6**" **21.00** სერ. "**ლურჯის ელფერი**" **22.00** მხ/ფ "**ზღვარს მიღმა**" **00.10** მხ/ფ "**ამერიკული ისტორია** X" **02.15** მხ/ფ "**დეჟა ვუ**" **04.30** მხ/ფ "**შემოჭრა**" **06.15** მხ/ფ "**შოუ იწყება**"

იბერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფრონზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** Hellow თბილისი **00.00** მხ/ფ " **არლეტი**" **3.40** ცენზურის გარეშე

**06.10** დ/ფ "გადადექი ფაშა" **07.15** დ/ფ "რწმენის აღორძინება" **07.50** საგალობლები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** დ/ფ "ველური ბუნება-ზვიგენის ღიმილი" **2** ნაწ. **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** სპექტაკლი "**ექვთიმე**" **11.20** სჯანი-"პაპოცეზარიზმი და ცეზარო-პაპიზმი" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა "სამთავისისა და კასპის ეპარქია" **12.05** კარაბადინი **12.35** საქართველო ევროპულ ოჯახში-პროგრამა "ემბარდი" **13.20** ან/ფ "პიტერ პენი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **15.50** კონცერტი **17.10** ქრისტიანული ხელოვნება "ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია" **18.10** დ/ფ "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" V **18.30** ძველი აღთქმის განმარტება **18.45** ჩვენი ამბავი "წიგნის კაცი-ზაქარია ჭიჭინაძე" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** დ/ფ "ათცამეტ ასურელ მამათა კვალდაკვალ" **19.50** ღია აუდიტორია "ვახტანგ ლიჩელი" **20.40** ძილი ნებისა "აბა დამაცადე" **21.00** პატრიარქის ქადაგება **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სალბუნი "ტრანსპლანტაცია" **23.40** დეკორატიული ფლორა "ზეთის ხილის ხე" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** კონცერტი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**28 ნოემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.7062
- ევრო — 3.2112
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6041
- 100 რუსული რუბლი — 4.6278

## ამინდის პროგნოზი 28 ნოემბრისთვის





## 16 ნოემბრიდან




რომან გვენცაძის

**საბედისწერო გასროლა**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის

**ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

— გავიგე, გოგონა შეგეძინა. მართალია?

— კი, მართალია.

— საინტერესოა, ბიჭია თუ გოგო?

•••

რადიოში გამოაცხადეს, რომ ციხიდან საშიში პატიმარი გაიქცა, ჩამოთვალეს მისი ნიშნები და მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდეს. მეორე დღეს რადიომ გამოაცხადა, რომ ყველაფერი წესრიგშია, დამნაშავე დილით საკუთარი ფეხით დაბრუნდა ციხეში.

საპატიმრო ჟურნალისტებით გაივსო, ყველას ერთი კითხვა აქვს:

— რატომ თქვით უარი თავისუფლებაზე და საკუთარი ფეხით დაბრუნდით ციხეში?

— რა თავში ვიხლი ასეთ თავისუფლებას! დილით საკუთარ სახლში შევიპარე, ცოლი კი მეუბნება: „სად დაეთრეოდი, შე უნამუსო! რადიომ ჯერ კიდევ საღამოს ექვს საათზე გამოაცხადა, რომ ციხიდან გაიქეცი!“

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— რატომ ხარ ცუდ განწყობაზე?

— ჩემი ყოფილი ცოლის ქმარმა დამირეკა და გამლანძღა.

— რისთვის?

— რატომ არ იცის საჭმელების მომზადებაო.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ვაიმე, მარილი დაიყარა, ჩხუბი იცის.

— შეიძლება მაგის გარეშეც მოგვარდეს ყველაფერი.

— არა, ძვირფასო, მე უკვე მზად ვარ!

•••

მომავალი წლიდან ფილმების ტიტრებში აუცილებლად იქნება მითითებული: „ფილმის გადაღების დროს არცერთ მსახიობ ქალზე სექსუალურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია“.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი ტომი 13




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

# ავტო ლომბარდი

ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით

ავტო ლომბარდი

მაქსიმალური თანხა:

**40,000₾**

გაიგეთ მეტი:

LibertyBank.ge/AutoLombard

032 255 55 00

